619
1991

ISSN 0130—1624

თეგერვალი
№ 2 1991

დროშა

ეროვნული გვარდია-
სამშობლოს იმედი

მამულო, საქართველო!

დროშა

№ 2 თებერვალი. (410). 1991

დამოუკიდებელი

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

შინაარსი:

ოთარ ქინქლაძე. სიცრუე და ორპირობა.

ოლეგ პლატონოვი. „ბოლშევიკი“ მკვლელები.

ზურაბ ქაფიანიძე. თვალი და თვალსიქითეთი.

შეთქმულება სტალინის წინააღმდეგ.

ირინე ტალიაშვილი. ჯვართამაღლება (მოთხრობა).

ბოდერძი ტალახაძე. არაკაცები.

ართურ კონან დოილი. მკვლელობა ებბი-ბრეინჯში. სერიდან „შერლოკ ჰოლმსის დაბრუნება“.

ელიზაბეტ ტეილორი — ბედნიერი და ტანჯული.

პანორამა.

თეიმურაზ ფირალიშვილი. არაგესკები.

კროსვორდი.

დამფუძნებლები: საქართველოს ჟურნალ-გაზეთების ჭამომცემლობა „სამშობლო“ და ჟურნალ „დროშის“ კოლექტივი.

© „დროშა“. 1991 წ.

მთავარი რედაქტორი
ოთარ ქინქლაძე

●

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა გახტაძე (პასუხისმგებელი მდივანი), **ოთარ ბერიშვილი, ვასილ გვეტაძე, ნათელა გიორგობიანი, ოთარ დემეტრაშვილი, ვახტანგ ესვანჯია, დინარა ნოდია** (მხატვარ-რედაქტორი), **თინგიზ სამსონაძე**

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

„პოლუკოვიკი"

ოლეგ კლატონოვი

ტროტის სათაკვები

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის სოციალ-დემოკრატია წრეზე მიმდინარეობდა დავა ბრძოლის შეიოდებისა და საშეიარაღების შესახებ. ისინი, ვინც თვლიდა, რომ საუკეთესო სამხედროები და ბევრი სხვა ადამიანის „ბრძენი" მოლოდ სეფეა ხალხისა და ეკონომიაში საშეიარაღებით შეიარაღება, ეფუძნებოდნენ აღმონტნენ. გაიცარ ეკვე, მათ, ვინ ახლოდაც „ეტიტ, ბრძანდ (ბტრაფ ეკ ეკეკ ის ადამიანი ითვლებოდა, ვინც სოციალ-დემოკრატების ოდეკეს ან ინტიკრ და — ო. ბ.) ეკეკეანარი საშეიეკ ბრძოლებს გამოაკეზეზა შესაძლებელი და მან ახლა ჩვენს შესახებ ჩვენთვის ინტერიარი მნიშვნელობა არა აკეს".

ამ გარემოში ეკეკ ის, ვინც „ეროდ ეფეის" გზას დაადგებოდა, ეფეელიანდა ერთგვარ ინფიეეეეტეკეს, ეკოდეკეა მიტეკეს, როგორც ადამიანი, ვინც „საკეთო ეკეთდეფეობის ფიდ ეაკეს ეკნიდა". ასეთ ინეეეეტეკეარეა ახლიან ბეტეეტიეკ ეკიანეეეეა, ეინეეეეეეა, ეაბეკეკეა, ეაბეკეკეა, ეაბეკეკ

ეს ეპ ითხოვა საბჭოთაელოვი ზურაბ ქაფიანიძეს, საბალო ბიბლიოთეკა ფაქიზი ფანტაზიაა ადამიანის, ბუნებრივია ადამიანი ადამიანად ქცევა, ბედნიერია ადამიანი და ეფიანი. ამრიგად, ეს ეფიანი ბედნიერ ადამიანად ქცევა ეფიანი ეფიანი ეფიანი

უეთჭეულება სტალინის წინააღმდეგ

ი. სტალინის პირადი დაცვის ყოფილი თანამშრომლის ა. რიბინის აზრით ასეთი შეთქმულება ნამდვილად არსებობდა და ის არამც და არამც არ წარმოადგენს სტალინის პარანოიული აზროვნების ფანტაზიას, რისი დამტკიცებაც სურს დღეს ზოგიერთ მეცნიერსა და ჟურნალისტს. თვით ა. რაბინი 1929-55 წლებში საბჭოთა უშიშროების ორგანოებში („ოგპუ", „ნკვდ", „კგბ") მუშაობდა და უეჭველად საქმეში კარგად ჩახედული და ინფორმირებული ადამიანია.

... 1930 წლიდან „ოგპუ"-ს ორგანოებმა, რომელთაც მაშინ გ. იაგოდა ხელმძღვანელობდა, ნელ-ნელა იწყეს გამოსვლა ბოლშევიკთა კომუნისტური პარტიის ცკ-ის კონტროლიდან. თვით იაგოდამ, მოაკვლევინა თავისი წინამორბედი ვ. მენჟინსკი, თანამოაზრეები და თანამზრახველები შემოიკრიბა, რომელთა შორის იყვნენ მისი მოადგილეები სორინსონი, ფრინკოვსკი, კაპიტანი ჩერტოკი, ხელისუფლების დაცვის) განყოფილების უფროსი კომისარი პაუკერი, მისი მოადგილე ვოლოვიჩი, კომისარი კურსკი, დაგენი და სხვები.

ამავე პერიოდში მიზეზთა და მიზეზთა გამო იაგოდა გაურბოდა ახლო შეხვედრებს სტალინთან. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ იაგოდას ახლო ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა მ. გორკის რძალთან (ვაჟიშვილის ცოლთან) ნ. პეშკოვასთან. ა. რიბინი იხსენებს, რომ თავად არაერთგზის ყოფილა იაგოდას თანმხლები, როცა ის მ. გორკის აგარაკზე ნ. პეშკოვას დაბადების დღეზე მიდიოდა ხოლმე. ხშირად თვით მ. გორკის რძალიც მოსულა სამსახურში იაგოდასთან. ა. რიბინი დარწმუნებულია, რომ ამ ურთიერთობის შესახებ სტალინს რომ გაეგო, იგი გორკის ოჯახის გახრწნისათვის იაგოდას უეჭველად ნაცარტუტად აქცევდა.

ამიტომ იაგოდა ძალზე ფრთხილად იქცეოდა. აი, „ოგპუ"-ს სამხედრო ნაწილის ყოფილი კომისრის ნ. ნეჩაევის მოგონება: „იაგოდამ ეჭვი აიღო, რომ მე ცენტრალური კომიტეტის აგენტი ვიყავი, მისი საქმიანობის სამეთვალყურეოდ ორგანოებში შემოგზავნილი. მან სწრაფად შეთითხნა ჩემზე საქმე და დამაპატიმრა. დახვრეტისგან გამომძიებლებმა გადამარჩინეს. მათ მანამდე გააჯანჯლეს ჩემი საქმე, სანამ თვით იაგოდა არ იქნა მოცილებული „ოგპუ"-ს ორგანოებიდან".

უნდა ითქვას ისიც, რომ ამ დროისათვის იაგოდას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა საზღვარგარეთ ემიგრაციაში მყოფ ლ. ტროცკისთან. 1938 წლის მარტში ღია სასამართლო პროცესზე იაგოდამ აღიარა, რომ მან შინსახკომის ფონდებიდან საზღვარგარეთ ტროცკის 20 ათასი დოლარი გადაუგზავნა. ისინი ერთიანად ებრძოდნენ სტალინს და სტალინის მთავრობას.

როგორც გადამდგარი მაიორის, იგონებს ა. რიბინი, ყოფილი პოლიტმუშაკის ა. ნიკულინას წერილიდან ჩანს, ხელთა აქვს ფაქტები, რომ 1934 წლის 3 დეკემბერს ლენინგრადში სტალინზე თავდასხმა მზადდებოდა და მხოლოდ სტალინის პირადი დაცვის სიფხიზლემ ჩაშალა ამ გეგმის განხორციელება.

ამ დროიდან მოკიდებული იაგოდა იწყებს სტალინის წინააღმდეგ შეთქმულების პრაქტიკულ მზადებას. აი, რა მისწერა ამის შესახებ ა. რიბინს, „ოგპუ"-ს სკოლის ყოფილმა კურსანტმა ი. ორლოვსკიმ: „1936 წლის დასაწყისში იაგოდამ, სორინსონმა, პაუკერმა, და ვოლოვიჩმა „ოგპუ"-ს სკოლის კურსანტებისაგან მებრძოლთა განსაკუთრებული ასეული ჩამოაყალიბეს. მის შემადგენლობაში ჯანიერი, ფიზიკური ძალით გამორჩეული ორმეტრიანი ბიჭები შეარჩიეს. მე ამ ასეულის შემადგენლობაში შევდიოდი, სულ კი ის 200 კაცს ითვლიდა. სამწყობრო მზადებაში „ოგპუ"-ს კაპიტანი გვავარჯიშებდა. ჩვენ კარგად ჩაგვაცვეს და შეგვაიარაღეს. ასეულმა სრული შემადგენლობით რამდენჯერმე მარშით გაიარა ძერჟინსკის მოედანზე. თვით იაგოდა თავისი კაბინეტის ფანჯრიდან გვადევნებდა თვალს. ამის შემდეგ იაგოდამ, სორინსონმა, პაუკერმა და სხვებმა, მოაწყვეს ჩვენი საბრძოლო მზადების დათვალიერება შინსახკომის ეზოში. მოგვიანებით ჩვენ შევიტყვეთ, რომ გვამზადებდნენ იმისათვის, რათა კრემლის კომენდანტის კომისარ ტკალუნის მეშვეობითა და დახმარებით შეგვეღწია კრემლში და დაგვეპატიმრებინა სტალინი. მაგრამ შეთქმულება გახსნეს, ჩვენ კი სხვადასხვა სამხედრო ნაწილში გადაგვაგზავნეს".

ა. რიბინის თქმით, შემდგომში ამ შეთქმულების ყველა მონაწილის დაპატიმრება უკვე მის თვალწინ ხდებოდა. დაპატიმრებულ იქნენ იაგოდა, სორინსონი, პაუკერი, ვოლოვიჩი, გულკო, დაგენი. კურსკიმ და ტკალუნმა ცეცხლსასროლი იარაღით თავი მოიკლეს. ჩერტოკი მეშვიდე სართულიდან გადახტა.

ამ წლებში, დასძენს ა. რიბინი, მე დიდი თეატრის სამხედრო კომენდანტი ვიყავი. კომკავშირის მეოცე წლისთავთან დაკავშირებული ზეიმის წინ, რომელიც დიდ თეატრში უნდა გამართულიყო, ღამით დააპატიმრეს იაგოდას დამქაშები — ტიხონოვი და პანოვი, ცოტათი ადრე დაპატიმრებულ იქნენ გოლუბევი და კოზლოვი. დიდ თეატრში საიუბილეო საღამოს მსვლელობისას დიდი დაძაბულობა სუფევდა. ამ საღამოს შემდეგ შინსახკომში დადიოდა ხმები იმის შესახებ, რომ ოპოზიცია დიდ თეატრში, საიუბილეო საღამოს მსვლელობისას აპირებდა სტალინის დაპატიმრებას.

სტალინის პირადი დაცვის ყოფილი თანამშრომლის ეს ვერსია მეტად საინტერესოა და, რა თქმა უნდა, აქვს არსებობის უფლება, მითუმეტეს, რომ იგი დადასტურებულია „ოგპუ"-ს ყოფილი კომისრის ნ. ნეჩაევის, ყოფილი პარტიული მუშაკის ა. ნიკულინას, „ოგპუ"-ს სკოლის ყოფილი კურსანტის ი. ორლოვსკის წერილობითი დამოწმებით.

ირინე ტალიაშვილი

ჯვართამაღლება

მოთხრობა

ალი ავარიელი, ჯერ კიდევ უწვერული ნინველი, დაღესტნელ იმამთა უკანასკნელი გვარის გამგრძელებელი და მთიელთა ამაყი ტომის — ავართა მემკვიდრე, ჯვართამაღლების ეკლესიასთან ახლოს, ვეებერთელა წაბლის ქვეშ, მწვანე ხასხასა მოლზე გულაღმა წამოწოლილიყო, ხელები თავქვეშ ამოედო და უსაზღვრო, თვალუწვდენ ტატნობს შესცქეროდა.

შემოდგომის მიმქრალი, ფერმიხდილი დღის ნათელში ჩაძირული ჯვართამაღლების ეკლესიის კედლები ჩვეული გულგრილობითა და სიმშვიდით მდუმარებდნენ. ლელვისა და წაბლის ხეების აბურდული ტოტები გაუვალი ტევრივით ჩახლართულიყვნენ ერთმანეთში. სადღაც შორს ნახირი ბღაოდა. ტოტებზე უჩინარი ჩიტუნები ფრთხიალებდნენ.

ეს უსაზღვროდ ლურჯი ზეცა, ეკლესიის რუხი პერანგი და სასიამოდ მფშვინვარე ნიავი სევდიანი გრძნობიერებით ავსებდა ბიჭის გულს. ნეტარი დუმილითა და სიმყუდროვით გაბრუებული ალი ფიქრობდა ეკლესიის ამშენებელზე, ზეციურ იდუმალებაზე, უთავბოლოდ მოწყობილ ცხოვრებაზე. ფიქრობდა ყველა იმ ამოუხსნელ, ბურუსით მოცულ ამბებზე, რომელიც კი შეიძლება თავში მოუვიდეს მარტოობას მიჩვეულ, ცამეტი-თოთხმეტი წლის მეოცნებე ყმაწვილს, რომლის ეულ და გულჩათხრობილ პოეტურ პუნებასაც არავინ ჰყავს გამზიარებელი საკუთარი თავისა და წიგნების ჯარდა.

თუმცა, რატომ მხოლოდ წიგნები? ალის კიდევ ეგულებოდა ერთი, მისი გონებისა და სულის მესაიდუმლე მოხუცი მასწავლებელი, რომელსაც სოფელში პატივისცემითა და მოკრძალებით მოძღვარს ეძახდნენ.

მოძღვარი ქართველთა სოფელში შემოხიზნული ავარიელების ოჯახის მახლობლად ცხოვრობდა და ალი ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე. უფრო მეტად წიგნების სიყვარულს მიჰყავდა. მოხუცი მასწავლებელი ადრე ქართულ ლიტერატურას ასწავლიდა და კარგად იცნობდა მოწაფის ფაქიზ ბუნებას.

— ამ ბიჭისგან კარგი პოეტი დადგებაო. — ეუბნებოდა ხოლმე შეხვედრისას ალის მამას. მამა ქირქილებდა და გესლიანი ღიმილით ეღრიცებოდა ტუჩები.

— მაწანწალა პოეტი? — ვითომ უდარდელად იქნევდა ხელებს. — ლექსაობას სწავლა რად უნდა? მაგას სჯობია ხელობას მოეკიდოს, ქვაბები მოკალოს, ანდა მენახირედ დადგეს.

— არა-გამზათ, — ოხრავდა მოხუცი მასწავლებელი. — ალი პოეტია, ნაღდი პოეტი. მან ლექსები უნდა წეროს. მისგან სწავლული დადგება, კარგი სწავლული.

— და რა ენაზე უნდა წეროს ლექსები? — ეშმაკურად იწვრილებდა თვალებს მამა. — თქვენებურად?

— უყურე ამას. რა, შენ ჩვენიანი არა ხარ? — აღშფოთებით ეკითხებოდა მოხუცი და ხმა უკანკალებდა. — რას ერჩი ბავშვს, თავს რატომ უტენი სისულელეებით?

მამა უკმაყოფილოდ დუმდა. ცდილობდა, რაც შეიძლება მალე გაშორებოდა მეზობელს. ალის კი მისი ბურტყუნი და მუქარაღა ესმოდა:

— ცოტაც და ავიკრავ აქედან გუდა-ნაბადს, წავალ რუსეთში.

მაგრამ გუდა-ნაბადის აკვრა არც ისე იოლი ჩანდა და ისევ კახეთის მიწის იმედით არჩენდა ოჯახს. მუქარას წინ ისიც ეღობებოდა, რომ ცოლად აქაური, თიველი ჯოხარიძეების ქალი ჰყავდა შერთული მოტაცებით. ამის გამო თავის დროზე დიდი რისხვა და წყრომაც დაიმსახურა ოჯახიდან. სარწმუნოება და ტრადიციები მასაც და მის მეუღლესაც ქორწინებას უკრძალავდა, თუმცა გამზათ ავარიელისთვის, საკუთარი ქვეყნიდან გადმოხვეწილი და ძირმოწყვეტილი კაცისთვის, ტრადიციებს დიდი ხანია მნიშვნელობა დაეკარგა.

ყველაზე მთავარ საზრუნავად ცოლ-შვილის შენახვა და ფულის შოვნა მიაჩნდა. ოღონდ ფული ყოფილიყო და ტრადიცია თავისით აღსდგებოდა. ისეთი დროება იყო, ყველა საკუთარ ჯამს ჩასჩერებოდა. მშობლიურ აულებს მოშორებული, ნახევრად როსტოვსა და კრასნოდარის ქუჩებში გამოზრდილი, გამოქეცილი კაცი. მაინცდამაინც სინდისის ქენჯნას არ გრძნობდა. ის კი არადა, ხანდახან წინაპართა სულის მოსახსენებელი დღეების აღნიშვნაც ავიწყდებოდა.

ერთი ეგ იყო, ცოლის ახლობლები უპირვებდნენ საქმეს. ცხვირწინ ხან საღდგომო კვერცხებს უგორებდნენ, ხან სამარხვო სუფრაზე ეპატიჟებოდნენ. მართალია, ცოლ-ქმარი ცალკე ცხოვრობდა, მაგრამ ზედსიძედ მისულ გამზათ ავარიელს მოყვრები მაინც წარამარა აწუხებდნენ.

ცოტა ხანს ითმინა. ერთ მშვენიერ დღეს კი ჯოხარიძეების საგვარეულოს გაეცალა და სხვა სოფელში გადასახლდა. ბედმაც შეუწყო ხელი. ფული ჰქონდა. იმხანად გავაზში ვიღაც დედაბერი გარდაიცვალა და გაქალაქებულმა შვილებმა ჩალის ფასად მიჰყიდეს მამული დაღესტნის მთიანი აულებიდან ჩამოხეტებულ, რუსეთის ქალაქებში ნატანტალებ, მრავლის მნახველ კაცს.

ასე მოიკიდა ფეხი ქართულ სოფელში საბოლოოდ გამზათ ავარიელმა. მართალია, აღდგომის დღეებში, აქაც ტრიალებდა წითელი კვერცხის სუნი და ყოველ ნაბიჯზე ესმოდა „ქრისტე აღსდგაო“, მაგრამ როგორც ჯოხარიძეების ოჯახში, ისე აღარ აღიზიანებდა ეს ძახილი. ბოლოს და ბოლოს ამით მის სალოცავს რა აკლდებოდა? განა მან არ უწყალობა ეს მშვენიერი, ღალიანი სამოსახლო? განა ყველაფერი განგების ნებითა და კარნახით არ მოხდა? განა მან არ არგუნა ცოლად ეს სიფრიფანა, ჩუმი, მორიდებული, მოსიყვარულე ქალი?

ბოლო დროს გამზათი გულზე სკდებოდა იმის გამო, რომ შვილების გამრავლება ვერ მოახერხა მისგან, ქალაქელი ქალბატონივით გაუჩინა ორი ბავშვი და მორჩა!

ხანდახან ცოფდებოდა თავის უსუსურ, დედასავით სათნო და ჩუმ ვაჟიშვილს რომ აკვირდებოდა. ამისგან რა ავარიელი უნდა დადგესო, ფიქრობდა, ხეირიანად წალდის მოქნევა არ იცის, ძროხას ვერ მოწველის ისე, რომ რძე არ დაეღვაროსო. წიგნის ჭია იყო ალი და აგრეც ეძახდა, — ჭია, ჭიაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით მაშინ გამოვიდა მოთმინებიდან, ცოლმა რომ უთხრა, ალი უნდა მოვნათლოო. თითქოს მანამდე არაფერი, ყურადღებას არ აქცევდა სარწმუნოებრივ წესებს. მაგრამ მაშინ ძველმა ბოღმამ და დაგროვილმა ჯავრმა მის გულში ერთბაშად იფეთქა:

— რას მიედ-მოედები, არ იცი? — უყვირა ცოლს. — რა ნათლია? რის ნათლია? დაგავიწყდა, ვისი გვარისაა?.. აგე, გოგოა თქვენებური, — მიუთითა ტახტზე წამოგორებულ მატრაკვეცა მარინეზე, რომელსაც სიცილად არ ჰყოფნიდა მშობლების წალაპარაკება. — როგორც გინდა, ისე მონათლე. ეგ გათხოვდება, გზას ბარაქას დააყრის, ალი კი ავარიელად დარჩება, ავარიელია და იმიტომ. გაიგე? ავარსკი, გვარის გამგრძელებელი, დაანებე თავი ალის!..

მაგრამ ალი გონიერი ყმაწვილი იყო და დედას კიდეც რომ დაენებებინა, თვითონ ვერ დაივიწყებდა ამ ამბავს. მშობლების ჩხუბმა და დავიდარაბამ, გული ატკინა. მარტო ლექსების თხზვა და წიგნები იარას ველარ დაუამებდა. გულის მოსაოხებლად მოხუც მასწავლებელთან წასვლა გადაწყვიტა.

მასწავლებელი მარტოდმარტო ცხოვრობდა დაბალ, აივნიან, წითელი კრამიტით გადახურულ სახლში. ალიმ აღელვებით, უთავბოლოდ უამბო მოხუცს მამის განრისხების მიზეზი. მასწავლებელი ყურადღებით, შუბლმოჭმუხნული უსმენდა. ალიც თვალებში შეჰფოფინებდა და მასწავლებელს მოციქულს ამსგავსებდა. თეთრი თმა-წვერი და სათნო, კეთილი გამომეტყველება, დედის საყვარელ ხატზე გამოსახულ რომელიღაც წმინდანთან ანათესავებდა. იმ ხატს მამისგან მალულად ეთაყვანებოდა დედა და ქმარ-შვილის კარგად ყოფნას, სულის სიმშვიდეს და ოჯახის სიმტკიცის შენარჩუნებას ევედრებოდა.

ვერაფერი გაეგო ალის... ასეთი სასწაულმოქმედი, გრძნეული და ძლიერი თუ იყო დედის საფიცარი ხატი, რად არ უნდა ეწამებინა მამას, რად უნდა გაბრაზებულიყო და ეტანჯა დედა. და თუ ალაჰი, როგორც მამა ამბობდა, უფრო მოწყალე იყო, ვიდრე დედის ღმერთი, და თუ მასწავლებლის თქმით, ალაჰი და ღმერთი ერთი და იგივე უზენაესი ძალაა, მაშინ მშობლებს რაღა ჰქონდათ გასაყოფი?..

ვერა, ვერაფერი გაეგო ალის. ყველაფერ ამაზე, თავის ეჭვებზე, სარწმუნოებაზე, ღმერთებზე, ხმამაღლა, ყმაწვილური გულწრფელობით ელაპარაკებოდა მაშინ მოხუც მასწავლებელს და პასუხს ითხოვდა.

ბოლოს, მასწავლებელი წამოდგა. წიგნებით დამძიმებულ თაროზე პატარა, თხელყდიანი წიგნი მოძებნა, გადაშალა და დაბალი, გულში ჩამწვდომი ხმით წაიკითხა ერთი ადგილი.

— ვინაი, ანუ ვისგან ისწავე ქრისტესთვის ესოდენი ცნობაი? რომელმან საკვირველებამან აღგიყვანა შენ, დიდებასა მას სასუფევლისასა? — მოხუცმა მასწავლებელმა სმენად ქცეულ, გატრუნულ ალის გადახედა და თითქმის ზეპირად განაგრძო:

— შენს გამო, წმინდაო მოწამეო, სიყვარული იგი ქრისტესი ჩვენდამი და სარწმუნოებაი ჩვენი, მისა მიმართ კვალად განახლდა! რამეთუ აღვერიენით ერსა უცხოსა, სჯულითა განდგომილსა ქრისტესაგან. ნათესავსა საწუთროისა ამის მოყვარესა, თესლსა ურწმუნოსა ძისა ღმრთისასა, სარწმუნოებისა ჩვენისა მაგინებელთა, რომელთაგან ვისწავებდით საქმენი მათნი და ვჰმონებდით გულისთქმასა გულთა ჩვენთასა მიბაძვებითა მათითა, ვითარცა უსასონი ქრისტესაგან და დამვიწყებელნი საუკუნოისა ცხოვრებისანი...

მოხუცმა წიგნი დახურა, თავი დახარა და შუბლზე ხელისგული გადაისვა. ალი ავარიელი, ჯერეთ უწვერული, ავართა ტომის გადახვეწილ ნაშიერთა შთამომავალი, ჩაფიქრდა. სახეზე ეტყობოდა, ათასი გრძნობა ენაცვლებოდა ერთმანეთს მის გულში. კარგა ხანს დუმდა, მერე თანდათან უჩვეულო სხივმა გაუთბო თვალები.

— მაშ, აბოს სიკვდილი ქრისტიანული სულის აღდგინებისთვის ყოფილა საჭირო?! — გაუელვა თავში. — საოცარია, ქართველი კაცის რწმენის განმტკიცებას სარკინოზის წამება რატომ უნდა დასჭირებოდა? რჯულისგან განდგომილ ქართველთა შეკავშირება უცხო, მტრის მოდგმის კაცმა რატომ იკისრა? ნუთუ ტანჯვისა და წამების გარეშე შეუძლებელია სიმართლის დამკვიდრება, ან იქნებ თვითონ უნდოდა ამაღლებულიყო იმ გრძნობიერებამდე, რომელსაც ქრისტიანი განიცდიდა თავისი მეუფის გვემითა და კვდომით! ეჰ, აბო, აბო!.. — ამოიოხრა ბიჭმა და მასწავლებელს გახედა:

— მასწავლებელო, თქვენ თუ გაუძლებდით იმგვარ წამებას, როგორიც აბომ აიტანა.

მოხუცმა მრავლისმთქმელად ჩახედა თვალებში.

— ჭეშმარიტებისთვის ყველამ უნდა გავუძლოთ! — მიუგო მოკლედ.

ყმაწვილი ავარიელი შეშფოთდა.

— მე რომ მონათლული არა ვარ, მასწავლებელო? არც პირჯვრის გადაწერა შემიძლია. დედა მასწავლის ხოლმე, მაგრამ გული არ მაძლევს ნებას. — ალიმ მწარედ ამოიკვნესა. სხვა ყმაწვილი ალბათ ამაზე ფიქრით თავს არ დაიტანჯავდა. მაგრამ ბიჭს ძალზე უყვარდა დედა. და სწორედ ამის გამო ფიქრობდა უფრო ხშირად პირჯვრის წერასა და ღმერთზე. თანაც უკანასკნელ ხანს მის გარშემო საოცრება ხდებოდა. თითქოს ღმერთს მოთმინების ფიალა აევსო და მიწისშვილთ თავი შეახსენაო, ყველგან მისი სახელი ისმოდა. ადამიანებმა თურმე ახლა აღმოაჩინეს, რომ ღმერთი არსებობდა. ხალხში უჩვეულო აღტკინება და გამოცოცხლება იგრძნობოდა. ყველგან, თვით მოხუცი მასწავლებლის სახლისა და სკოლის შენობის სახურავზეც კი, შინდისფერი დროშა ფრიალებდა. — „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს“. — ყვიროდნენ ალის თანაკლასელები და ხმამაღლა მღეროდნენ „შავლეგოს“. თბილისიდან სტუდენტები ჩამოდიოდნენ და ხალხს მოუწოდებდნენ, თავისუფლებისთვის ებრძოლათ. „ჩვენთან არს ღმერთი!“ — ამ სიტყვებით ამთავრებდნენ ორატორები და მოზეიმე სახით იწერდნენ პირჯვარს.

ალის გულით ეწადა დაენახა ის უხილავი ძალა, თანაკლასელებივით აღგზნებულიყო, თავისუფლება მინდაო, ეყვირა... მაგრამ რაღაც შინაგანი ხმა ნებას არ აძლევდა. რატომღაც თანასოფლელებისა რცხვენოდა, ეშინოდა, რომ არ დაუჯერებდნენ. ვერაფრით ვერ ჩაკლა საკუთარ გულში უცხო კაცის მტანჯველი გრძნობა, იმის შეგნება, რომ იგი დაღესტნის მამაც იმამთა სახელოვან გვარს ატარებდა. ეს გვარი და ეს მიწა, სადაც იგი ქარისგან მოტანილი უცხო თესლივით ღუოდა, ახლა ერთმანეთთან იმდენად შეუთავსებლად, იმდენად შეურიგებლად და შეუგუებლად ეჩვენებოდა, რომ უკვირდა კიდეც, აქამდე როგორ ვერ ვატყობდიო.

ალიაქოთსა და მიტინგების დროს მისთვის სოფელი ერთგვარად გაუცხოვდა და მიუკარებელი გახდა. ამას კიდევ უფრო ამძაფრებდა მამის პირქუში სახე, განწყობილება და განუწყვეტელი უგუნებობა. თითქმის ყოველ საღამოს ტელევიზორთან იჯდა და ახალ ამბებს უსმენდა. განსაკუთრებით „ვრემია“ შეუყვარდა. ერთხელ, როდესაც დედამ სთხოვა საქართველოს არხზე გადმორთეო, აიმრიზა და გამწარებით ეტაკა:

— როგორ არა, გადმოვრთო. აი, თივში გუშინ ლეკები დაურბევიათ, დიახ! დაუწვიათ სახლები, მალე ჩვენც მოგვისრიალებენ აქედან!

შეცბუნებული დედა დუმდა და ხელებს ისრესდა. ალი ყურებზე ხელისგულს იფარებდა, რომ მამის გინება არ გაეგონა. მხოლოდ მარინე იცინოდა ხმამაღლა, ორაზროვნად, იატაკზე ფეხებს აბაკუნებდა და გაჰკიოდა:

— მამაჩემი გამზათი პროვოკატორია, არავინაც არ გაგვყრის სოფლიდან, არავინაც. გაუმარჯოს თავისუფლებას, გაუმარჯოს დამოუკიდებელ კახეთს. — ტაშს უკრავდა. — რა უნდათ თივში ლეკებს. — გულზე ხეთქავდა მამას. — ლეკები დაღესტანში უნდა ცხოვრობდნენ, რუსები რუსეთში, სომხები სომხეთში. ასე არ არის, ჰა, ალი? — იმოწმებდა უფროს ძმას, — ხომ ესე ეწერა იმ ფურცელში?

მამამ ვეღარ მოითმინა, გარტყმა არ აკადრა, მაგრამ წამოზრდილ გოგონას მკლავში გაჯავრებით სწვდა და გარეთ გაათრია.

— მე არაფორმალი ვარ, არაფორმალი, — მაინც არ ცხრებოდა მარინე. — იცოდე, გავიფიცები, გამზათ. თუ დიქტატორობას არ მოიშლი ოჯახში, შიმშილობას გამოვაცხადებ.

ალის იმდენად ოინბაზური და სასაცილო ეჩვენა მარინეს საქციელი, თავი ვეღარ შეიკავა, გაიღიმა. დედასაც გაეხსნა შუბლი, მამასაც, თუმცა ბოლოს მაინც მკაცრი ტონით გამოაცხადა, ახლა კი მართლა ავიკრავ გუდა-ნაბადს და რუსეთში წავალო.

მაშინ, მოხუც მასწავლებელთან საუბრისას, ალის ეს სურათი და მამის ნათქვამი რომ გაახსენდა, უნებურად ამოუტივტივდა გონებაში: „რატომ რუსეთში და არა დაღესტანში?“

ახლაც, ჯვართამაღლების ეკლესიის ეზოში წამოწოლილი, ზეცის უსასრულო გუმბათში თვალმოსეირნე ბიჭი, იმავე კითხვებზე ფიქრობდა და უნებურად აგონდებოდა სტრიქონები „აბო თბილელის“ წიგნიდან, რომელიც მოხუცმა მასწავლებელმა აჩუქა. იმ წიგნიდან რამდენიმე ადგილი ზეპირად ისწავლა: — უკეთუ მოვკვდე, მრწამს მე, რამეთუ ქრისტესთანა ვცხონდე, ხოლო შენ რასა განაგრძობ? რაი გეგულების ჩემს ზედა, იქმოდე, რამეთუ მე, ვითარცა კედელსა მაგას, რომელსა მიყრდნობილ ხარ, ეგრე არა მესმიან ცუდნი ეგე სიტყვანი შენნი, რამეთუ გონებაი ჩემი ქრისტეს თანა არს ზეცას...

ამ წუთებში წმინდა აბოს აღსარებას რომ იმეორებდა, ალის ბაგე უხურდა და სიტყვები თითქოს თავისით მოედინებოდა. გული უცნაური მადლიერებითა და სასოებით ევსებოდა. ზეციდანაც რაღაც უცნაურად მბრწყინავი თბილი ნათელი იღვრებოდა. შემოდგომის ჩუმ და იდუმალ სევდასთან შეფარული დღის შუქი ტირილისა და ჩივილის გუნებაზე აყენებდა ბიჭს. ისე მარტოდ, მიუსაფარად და პაწაწკინა არსებად გრძნობდა თავს, რომ ახლა ვეღარც მოხუცი მასწავლებლის რჩევა და ვეღარც გასამხნევებლად დაწერილი ლექსის სტრიქონები ვეღარ უშველიდა. რაღაც სხვა ძალა იყო საჭირო მისი აფორიაქებული გონების დასამშვიდებლად.

ალიმ გულის კოვზთან უჩვეულო ენერგიის მოზღვავება იგრძნო. ვეღარ მოითმინა, თითქოს ვიღაცამ უბიძგაო, ისე წამოვარდა ზეზე, ეკლესიისკენ შებრუნდა, თვალები სასოებით აღაპყრო და ის იყო მხურვალედ უნდა წამოძახა, ღმერთო მიშველეო, რომ ენა დაება და სიტყვები ბაგეზე შეეყინა. მოულოდნელობისგან აღტკინება დაუცხრა. ეკლესიის სამრეკლოზე აღმართულ, ოქროსფრად ალაპლაპებული ჯვრის მარჯვენა კიდეზე უცებ წამოსკუპებული შავი მტრედი დაინახა.

მტრედის დანახვაზე ალის ყველაფერი დაავიწყდა. გაუკვირდა, საიდან მოფრინდა ისე, რომ მე ვერ დავინახე, ან ჯვრის კიდეზე ფეხს როგორ იკიდებსო, თავისდაუნებურად დაიხარა და მიწაზე ხელი მოაფათურა. ქვა აიღო, მოიქნია და სამრეკლოსკენ ისროლა. ქვამ მიზანს ვერ მიაღწია, მტრედი ვერ დააფრთხო, ისევ მშვიდად განაგრძობდა ჯდომას და კისერს აქეთ-იქით ატრიალებდა.

ახლა მეორე ქვა მოძებნა ალიმ. მერე მესამე, მეოთხე. ძალიან უნდოდა, მტრედი დაეფრთხო და ჯვარი გაეთავისუფლებინა. ამაოდ! სამრეკლოდან ალბათ იმდენად პატარა და უსუსური მოჩანდა, რომ შავი მტრედი არაფრად აგდებდა, არხეინად გადმოსცქეროდა მიდამოს და თითქოს ბიჭს დასცინოდა.

ალის უნდოდა ერთხელ კიდევ ეცადა ბედი, ისევ დაიხარა ქვის ასაღებად, მაგრამ უცებ მოეჩვენა, რომ ბუჩქებში ვიღაცამ ჩაახველა და ცოტათი შეეშინდა. მიაყურადა. ისევ შეტრიალდა, ხელი შემართა და ქვა მოისროლა. მოულოდნელად ქვა თითქოს მისკენ შემობრუნდაო, კეფაში ძლიერი დარტყმა იგრძნო და თავი მძიმე, სულისშემხუთველი მხურვალებით აევსო. ალი მიწაზე დაეცა.

— ასე უნდა ამ ნაბიჭვარს. ხედავ, რა დღეშია? არ დალეწა აქაურობა? — შორიდან ჩაესმა ხრინწიანი, გესლიანი ხმა. მერე ისევ მოხვდა ზურგში ვიღაცის წიხლი და მთელი წელი თითქოს ნაჯახის პირით გადაესერა.

— რამდენი ხანია აქ დაეთრევა, ჩუმად ვუთვალთვალებდი, რას იზამს-მეთქი, — არ ცხრებოდა ხრინწიანი ხმა. გინებით ბილწავდა ჰაერს. — უკვე ეკლესიებსაც აღარ ინდობენ. პირდაპირ გულ-ღვიძლს გვჭამენ.

ალის უნდოდა წამოდგომა, სიმართლის მტკიცება, მაგრამ ენა სასაზე მიეწება, არ ემორჩილებოდა.

— ეჰ, აბო, აბო, რა გინდოდა?! — გაუელვა უცებ გონებაში და გარკვევით დაინახა წყვდიადიდან გამომკრთალი შუქი, რომელსაც სპეტაკსამოსიანი, ბრწყინვალე სახის მოხუცი მოუძღოდა. ალიმ ქართული ენის მასწავლებელი იცნო. მოხუცი მალე გაქრა და დედა წარმოუდგა თვალწინ — მკერდში ხატი ჰქონდა ჩახუტებული. მერე დედაც მიეფარა წყვდიადს და თავს განრისხებული მამის აჩრდილი წამოადგა.

— ხომ გითხარი, არ გაპატიებენ-მეთქი, — ბობოქრობდა მამა. — რა გინდოდა, რა შენი საქმეა მოწამეობა.

— მინდოდა, მტრედი დამეფრთხო, — ტირილით, ძლივს ამოღერღა ალიმ.

— მტრედი გაფრინდა, — პირქუშად, მკაცრად მიუგო მამამ და სიბნელეს შეერია. ალის საშინლად მოუნდა გაფრენილი მტრედის დანახვა. თავს ძალა დაატანა, რომ როგორმე წამომდგარიყო, მაგრამ სხეული მიწიდან ვერ აზიდა.

— შეეშვი, — ურჩია ვიღაცამ ვიღაცას. — ამაღლების ეკლესიასთან ვდგავართ, იქნებ რამე არსებობს, მართლა არ შემოგვაკვდეს.

— დაიცა ერთი, რა! — ეშმაკის ნაფურთხივით მოედო ხრინწი იქაურობას.

უცებ ჩამოწვა სიჩუმე. მდუმარება გამეფდა ირგვლივ. შავი მტრედი კვლავ ალაპლაპებული ოქროსფერი ჯვრის ქიმზე იჯდა და თითქოს გაკვირვებით გადმოჰყურებდა იმამთა უმცროს შთამომავალს, მთის ამაყი ტომების უძღებ მემკვიდრეს, ქართულ მიწაზე დაბადებულსა და გაზრდილს, ჯერეთ უწვერულ ნინველს, ალი ავარიელს, რომლის თავში ერთადერთი აზრიღა აცოცხლებდა გონებას:

— ეჰ, აბო, აბო, რა გინდოდა, რა გინდოდა, აბო, ჩემგან?!.



სოფელში

ამირან ჩხეიძე



ქალის პორტრეტი

საუბარი

მხატვარი ალექსანდრე ციხელაშვილი

ანკესჩეჯი

მცხეთაში. მშენებარე ობიექტის უფროსად დანიშვნის რამდენიმე დღის შემდეგ, ოთხმოცი წელს მიტანებული მოხუცი მეწვია.

— გავიგე, რომ ხალხი გჭირდებათ და იქნებ ჩემთვისაც გამოინახოს რამე, თორემ ძნელია უმუშევრად ყოფნა.

— ადგილები როგორ არა გვაქვს, ინჟინრების, ტექნიკოსების, დამლაგებლების. — გაიხუმრა ვახტანგმა, უფროსმა ტექნიკოსმა. — ამოირჩიე ძია კაცო, რომელიც მოგწონს და აქ არა ვართ?!

— ეხ, შვილო, ჩემსავით რომ ოცდაათმანეთიან პენსიაზე იჯდე, ხუმრობის თავი აღარ გექნებოდა! — მოხუცი წუთით გაჩუმდა, უხერხულად შეიშმუშნა და დაუმატა, — შეწუხებისათვის ნუ გამიბრაზდებით და ბედნიერად იყავით.

— მოიცადეთ, ძია კაცო, სად მიდიხართ?! გამოვფხიზლდი იმ უცნაური მდგომარეობიდან, რომელშიც სტუმრის დანახვამ ჩამაგდო.

დაჩიავებული მოხუცის ტანზე გაცვეთილმა ჯუბა-შარვალმა, თავისსავე ხნის ჯარისკაცულმა ჩექმებმა და ყურებიანმა ქუდმა, მართალია, შორიდანვე მიიქცია ჩემი ყურადღება, მაგრამ სუფთად გაპარსული სახის სიმშვიდე და თვალებში აკიაფებული ეშმაკური ღიმილი უფრო მეტად მიზიდავდა და თანაგრძნობით განმაწყობდა მისადმი.

— რა გვარი ხართ, ძია კაცო?

— მამულაშვილი ვარ, სანდრო!.. მიშა თუ გაგიგიათ ყვავილების ჯადოქარი, მისი მოგვარე.

— რადგან მიშა ძიას მოგვარე ყოფილხარ, ამ ბაღს გაბარებთ. ნერგები წელს ჩავყარეთ და ორმოციოდე ძირს როგორმე ერთად მოვუვლით და გავახარებთ.

ასე გაგვიჩნდა შტატში მებაღე-ყარაული დამლაგებლის მაგივრად.

მიყვარს მოხუცების მოსმენა მათი ახალგაზრდობისდროინდელი ფათერაკების შესახებ.

უბრალო ადამიანი არც არაფერს შეალამაზებს, არც სიცრუეს შეგაპარებს და არც ვინმეს ძაგებას დაიწყებს სხვისი დამცირების ფონზე საკუთარი თავის განდიდების მიზნით.

ბევრჯერ ვმჯდარვარ სანდრო ძიასთან მისი საყარაულო ოთახის წინ, ბევრი ამბავი მომისმენია და რა მომათმენინებდა დიდ ილიაზე არაფერი მეკითხა.

— მინახავს, შვილო, როგორ არ მინახავს. ყოველ თვეც არ ავსულვარ მასთან საგურამოში?! — სანდრო ძიამ სიგარეტს მოუკიდა და განაგრძო.

— როგორც გითხარი, ხორცის დუქანი მქონდა და ილიას კაცს ჩემგან ხშირად მიჰქონდა ბაზრის სურსათი ნისიად. თვეში ერთხელ ავდიოდი საგურამოში ჩემი დავთრით, ჩამოვყრიდით წაღებულის წონასა და ფასს, ანგარიშს გავასწორებდით და ცოტასაც საქვეყნო საქმეზე წავისაუბრებდით.

მერე ილიას დავალებით მზარეული შემიყვანდა თავისთან და კერძთან ერთ ჩარექა ისეთ ღვინოს დამიდგამდა წინ, მარტო ამ ღვინისთვის ღირდა საგურამოს აღმართზე არბენა.

უკანასკნელად როდესაც ავედი, ეტყობა ჯიბეზე ფული არ ჰქონდა, რადგან ბარს წამოავლო ხელი, სარდაფში ჩამიყვანა, ერთ ადგილას მიწაში ჩაფლული ბოთლი ამოაძრიალა, კედელზე მიამტვრია და იქიდან გადმოყრილი სულ მრგვალ-მრგვალად დახვეული ქაღალდის ფულებიდან გამისწორა ვალი.

რომ შევეკითხე, ბატონო ილია, ფულის ასე შენახვა რად დაგჭირდათ-მეთქი, მიპასუხა:

— აბა, რა გითხრა, შვილო, ქვეყანა ისეა არეული, ადამიანმა ყველაფერზე წინასწარ უნდა იზრუნოსო.

დინჯი და აუღელვებელი საუბარი იცოდა. მკაცრი და მომთხოვნი, მაგრამ სამართლიანი ადამიანი იყო. უსაქმურსა და ყალთაბანდს ვერ იტანდა.

მცხეთაში რომ ვბრუნდებოდი, იმის მამულის მმართველს გადავეყარე. გამაჩერა და მკითხა: ვალი ხომ კარგად გიანგარიშაო და დასტური რომ მიიღო, ჩაიცინა:

— რა ენაღვლება ბანკიდან აწაპნული ფულების განიავებაო. ზუსტად ასე თქვა.

არ იყო ის კაცი პატიოსანი ადამიანი. პირველად თუ ილიას შესცინებდა თვალებში, იმ ბოლო ხანებში სულ მის ძაგებაში იყო: გვყვლეფავსო, ჯამაგირს ცოტას გვაძლევსო, მუშაობით სულს გვხვდისო, თუმცა თავად ხელი შეუშვა ყველაფერს და სადგურის რესტორანში დაეთრეოდა ხოლმე, ან ვინმეს დუქანში ზეზეულად ცლიდა „თხლაშოსა“ თუ „წრუპოს“.

— ბერბიჭაშვილზე რას მეტყვი, სანდრო ძია?

— ბერბიჭაშვილი მერე გავიცანი, ბოლშევიკების შემოსვლის მერე.

ნიკალა მეფეს რომ ხალხი აუჯანყდა, ჩვენებიდანაც ბევრი გავიდა ტყეში.

მართალია, ჩემი საქმე არ მიმიტოვებია, მაგრამ როგორც შემეძლო, ისე ვეხმარებოდი მათ. ჩემი ცხენურმით საკლავის საყიდლად ხშირად დავდიოდი სოფლებში და გზიდანაც არაერთხელ გადამიხვევია, რომ მათთვის სურსათ-სანოვაგე ან ტყვია-წამალი მიმეტანა.

მამასახლისად მაშინ ჩვენი მარტოლეკი იყო, აი ის, ორთვალით რომ დადის და ათი წელია იძახის „ოთხმოცდაცხრამეტი წლისა ვარ, ოთხმოცდაცხრამეტისო“.

— ერთხელ მეც შევესწარი მის ხუმრობას. მაგ ხნის კაცს ალბათ ეპატიება უცნაური ახირება.

— ახირება კი არა და, ეშმაკობს, შვილო! ამ ოციოდე წლის წინათ დაიქადნა: მტრის ჯინაზე ზუსტად ას წელს უნდა მივაღწიოო, და რომ მიატანა კიდეც მაგ ასაკს, შეეშინდა, თუ მიქელგაბრიელის მოტყუება უნდა, ასიანზე ხმას ვერ ამოაღებინებ. შენიშვნაზე გაიცინებს და იტყვის, კაცი თავის სიტყვის პატრონი უნდა იყოს, რახან ერთხელ უკვე ვთქვი ოთხმოცდაცხრამეტი, რატომ უნდა გადავთქვაო?

სწორედ ეს მამასახლისი მარტოლეკი ეხმარებოდა ჩუმ-ჩუმად „ტყის ძმებს“. თავის დროზე აფრთხილებდა თუ ჯარები სად იდგნენ, წასვლას საით აპირებდნენ, ან ალყის შეკვრას. მეც ბევრჯერ მიმიტანია მისი დანაბარები და ბიჭებიც გადამირჩენია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალი რომ აიმღვრევა, ბევრი უწმინდური იწყებს ხელების ფათურს. ბევრი ავაზაკი დათარეშობდა მაშინ და ძარცვა-გლეჯით იძენდა სიმდიდრეს. არც ერთმანეთს ინდობდნენ და არც მოხუცსა თუ ბავშვს. ფულზე გაჰყიდეს „ტყის ძმები“. ფულზე! გაზეთშიც კი იყო მოკლული ბიჭების სურათი. მერე მეც დამასმინეს, ორთვალაში გადამალული ტყვია-წამალი მიპოვნეს და „კუტუზკაში“ ჩამაგდეს.

ბოლშევიკები რომ შემოვიდნენ, მცხეთის საბაკლაოში ვმუშაობდი. ერთხელაც მუხრანში ყოფნისას იქაურ დათა „კნიაზთან“ გავიცანი მისი მდგმური მილიციონერი, რომელიც შემდგომში ბერბიჭაშვილის ქვისლი აღმოჩნდა.

გავიდა რამდენიმე დღე და ის მილიციონერი მცხეთაში მესტუმრა ბერბიჭაშვილთან ერთად წინადადებით „ერთმანეთს ცნობები დაუწერეთ, რომ მეფის წინააღმდეგ იბრძოდით პარტიზანებშიო“. ასეთ ხალხს პარტიაშიც იღებენ, სტაჟიც იმ დროიდან ეწერებათ და შეიძლება „ბოინის“ უფროსადაც დაგნიშნონო.

აბა, რა ჩემისთანა უსწავლელი კაცის საქმე იყო პარტიულობა და, როდესაც ვერ დამიყოლიეს, ბერბიჭაშვილმა საცემადაც კი გამოიწია: „შენზე სახელოვანი გამიგზავნია საქიოშიო“.

მერე გავიგე, მაინც შეეგროვებინა ცნობები და მუხრანის საბჭოს თავმჯდომარედაც გამძვრალიყო.

პენსიაზე რომ გავედი, მაშინ კი მივხვდი, რად დარბოდა ხალხი ასეთი ცნობებისათვის. ყველამ თანამდებობის გარდა კარგი პენსიაც გაირტყა, ხოლო მე კი... გაჰკრეს, გამოჰკრეს და ოცდაათ მანეთზე მეტი არ გამომიყვანეს.

ეს ამბავი ოცდათხუთმეტი წლის წინანდელია, ამ ქვეყანაზე აღარ არიან არც სანდრო ბიძია, არც მიხეილ მამულაშვილი და არც „ოთხმოცდაცხრამეტი“ წლის მარტოლეკი.

და თუ მე გადავწყვიტე ამ ამბის მოყოლა, მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა გვქონდეს უბრალო ადამიანის თვალით დანახულ იმ დროზე, როდესაც მამულიშვილებს სასტიკად უსწორდებოდნენ რევოლუციურ ბობოქრობას მიტმასნებული სინდისდაკარგული არაკაცები.

გოდერძი ტალახაძე.

მკვლელობა ეგზიბერეინჯში

სერიიდან: „შერლოკ ჰოლმსის დაბრუნება“

ართურ კონან დოილი

1897 წლის სუსხიანი ზამთარი იდგა. დილით ვიღაცამ მხარზე მიბიძგა და გამომაღვიძა. ჩემს წინ შერლოკ ჰოლმსი იდგა. ანთებული შანდლები ჩემი მეგობრის შეშფოთებულ სახეს ანათებდა.

— უოტსონ, ადექით, — მითხრა ჰოლმსმა. — თამაში დაიწყო, სასწრაფოდ ჩაიცვით და გამომყევით.

ათი წუთის შემდეგ კებში ვიჯექით და ჩარინგ-როსის სადგურისაკენ მივგრიალებდით. ირიყრაჟა. ლონდონის რძისფერ ნისლში სახელოსნოებისაკენ მიმავალი ადამიანების სილუეტები მოჩანდნენ. თბილ პალტოში გახვეული ჰოლმსი ხმას არ იღებდა. ციოდა. ჰოლმსს მივბაძე და პალტოში უფრო მოხერხებულად გავეხვიე. სადგურში ცხელი ჩაი დავლიეთ. კენტისკენ. მატარებელში ჩაჯდომის შემდეგ ისე გავთბით, რომ ლაპარაკი შეგვეძლო. ჰოლმსმა ჯიბიდან ბარათი ამოიღო და ხმამაღლა წაიკითხა:

ებბი გრეინჯი, კენტი.
დილის 3.30 წუთი.

„ძვირფასო ჰოლმს, მოხარული ვიქნები, თუ დახმარებას გამიწევთ ერთი ღირსშესანიშნავი საქმის გამოძიებაში. ლედის ალბათ გავანთავისუფლებ. თქვენს მოსვლამდე ყველაფერი ხელუხლებელი იქნება, თუ ღმერთი გწამთ, ნუ დაიგვიანებთ, რადგან სერ იუსტესის დატოვება ამ ოთახში ძნელია.

თქვენი ერთგული
სტენლი ჰოპკინსი...“

— ჰოპკინსმა შვიდჯერ მთხოვა დახმარება და ყველა მისი მიწვევა გამართლებული გამოდგა, — თქვა ჰოლმსმა.

— თუ არ ვცდები, ეს საქმეები თქვენს კოლექციაში მოხვდა. იმედია, აქედან საინტერესოებს ამოარჩევთ და მათ გარკვეულ ადგილს დაუთმობთ თქვენს თხზულებებში. ჩემი სამუშაოს დელეკატურ ნაწილს ყოველთვის რბილად ეხებით. თქვენ მხოლოდ სენსაციურ დეტალებზე ამახვილებთ ყურადღებას. ეს კი მკითხველს მხოლოდ ართობს, სწავლით კი არაფერს ასწავლის.

— თქვენ თვითონ რატომ არ წერთ? — მივმართე გაღიზიანებულმა.

— ჩემო საყვარელო უოტსონ, მე სიბერის ჟამს ვაპირებ წერას და იგი ალბათ, დანაშაულის გახსნის სახელმძღვანელოდ გამოდგება. ჩემი აზრით, ჰოპკინსმა მკვლელობის გამო გამოგვიძახა.

— როგორ, სერ იუსტესი მკვდარია?

— ბარათის შინაარსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჰოპკინსი ძალიან აღელვებული ყოფილა. ეს კი მას იშვიათად ემართება. ბარათის შინაარსიდან ჩანს, რომ გვამს ჩვენს მისვლამდის ხელს არ ახლებენ. ჩვეულებრივი მკვლელობის დროს ჰოპკინსი ჩვენ არ მოგვმართავდა. „ლედის ალბათ გავანთავისუფლებო“, რომ მწერს, ეტყობა სანამ ტრაგედია მოხდებოდა ქალი სადღაც ყოფილა ჩაკეტილი. ძვირფასო უოტსონ, ჭრიჭინა ქაღალდებს, ბრწყინვალე ტიტულს, გერბსა და მონოგრამას, მაღალი საზოგადოების წრეში გადავყავართ. სტენლი ჰოპკინსი თავის რეპუტაციას ამართლებს. ბოროტმოქმედება შუაღამემდე ყოფილა ჩადენილი.

— საიდან დაადგინეთ?

— მატარებლების მოძრაობის განრიგითა და დროის გამოთვლით. ადგილობრივი პოლიცია რომ გამოეძახათ, სკოტლენდ-იარდის პოლიციას საქმეს გაუადვილებდა. დანაშაულის ადგილზე ჰოპკინსი საღამოს ჩასულა. აი ჩიზილპერსტიც. სულ მალე ჩვენი ეჭვები გაიფანტება.

რამდენიმე მილის გავლის შემდეგ პარკის შესასვლელთან ვიდექით. კარი მოხუცმა კაცმა გაგვიღო. მომხდარ ტრაგედიას მოხუცზეც ემოქმედა. შესანიშნავ პარკსა და ორრიგად ჩამწკრივებულ თელებს შორის ჩადიოდა ხეივანი, რომელიც პალლადიოს ფასადის სტილზე ნაშენ სახლთან მთავრდებოდა. შენობის ცენტრალური ნაწილი დიდი ხნის წინ აეშენებინათ. ფართო ფანჯრები ძველ შენობას თანამედროვე იერს აძლევდა. სახლის ერთი ფრთა ახლად აშენებულს ჰგავდა.

ქართულ ენაზე ქვეყნდება პირველად.

შესასვლელთან, გაღებულ კარებში, აღელვებული სტენლი ჰოპკინსი შემოგვეგება.

— ჯენტლმენებო, მოხარული ვარ, რომ ჩამოხვედით. გამოძიების თავიდან დაწყებას, ალბათ, აღარ შემოგთავაზებთ. როცა ლედი გონს მოვიდა, ისეთი ჩვენებები მოგვცა, საქმის დასამთავრებლად ცოტაოდენი რამ დაგვრჩა დასადგენი. მისტერ ჰოლმს, ლუიშემსკელი ქურდების ბანდა თუ გახსოვთ?

— სამი რენდალები გაქვთ მხედველობაში?

— დიახ, მამა და ორი ვაჟი. ეს მათი ნამუშევარია. ორი კვირის წინ მათ საიდენჰემში „წაიმუშავეს". ჩვენ მათი გარეგნობის აღწერილობაც გვაქვს. როგორი თავხედობაა! ორ კვირაში ერთსა და იმავე რაიონში ორი დანაშაული იქნა ჩადენილი. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ეს აქტი რენდალების ნამოქმედარია. ვიმედოვნებ, ამჯერათ მათ სახრჩობელა არ ასცდებათ.

— სერ იუსტეს მკვდარია?

— დიახ. მას ბუხრის საჩხრეკით გაუტეხეს თავი.

— მეჯინიბის თქმით, მისი გვარი ბრეკენსტოლია?

— დიახ, იგი კეტის საგრაფოს ყველაზე უმდიდრესი ადამიანია. ლედი ბრეკენსტოლი ამჟამად სასტუმრო ოთახშია. საბრალო ქალი, რამდენი ტანჯვა გადაიტანა. როდესაც პირველად ვნახე, მკვდარი მეგონა. უკეთესი იქნება, თუ მას თვითონვე მოუსმენთ. შემდეგ სამზარეულო დავათვალიეროთ.

ლედი ბრეკენსტოლი ლამაზი ქალი აღმოჩნდა. ასეთი მოხდენილი არსება იშვიათად მინახავს. ოქროსფერთმიან ქალს ლურჯი თვალები ამშვენებდა. მისი მომხიბლავი სახე გადატანილ უბედურებას დაესახიჩრებინა. ქალს დიდი ფიზიკური ტანჯვა გამოევლო. წამოჭარხლებულ თვალებზე სისხლჩაქცევები შეინიშნებოდა. მაღალი, მკაცრი გამომეტყველების მოახლე ქალი წყალნარევი ძმრით მტკივნეულ ადგილს გულმოდგინედ უსრესდა. დაქანცული ლედი ტახტზე იწვა. ოთახში შესვლისას, ქალმა თვალით სწრაფად შეგვათვალიერა. მისი დაძაბული სახის დანახვაზე მივხვდით, რომ მომხდარ ტრაგედიას მასზე ძლიერ ემოქმედა. მოლურჯო-ვერცხლისფერი ხალათი ეცვა. იქვე ტახტზე შავი ბზინვარე კაბა იდო.

— მისტერ ჰოპკინს, — დაიწყო ქალმა, — გევედრებით, ნუღარ გამამეორებინებთ თავიდან. იქნებ თქვენ მოგეთხროთ? სასადილო ოთახი უკვე დაათვალიერეთ?

— მათ თქვენი მონათხრობი აინტერესებთ.

— სანამ ამ საშინელებას ბოლო არ მოეღება, თავისუფლად ვერ ამოვისუნთქავ. ამაზე გაფიქრებაც კი მზარავს.

ქალი წუთიერად შეტოკდა და სახე ხელებით დაიფარა. ხალათის ფართო სახელოები ქვევით ჩამოუცურდა და ხელები იდაყვებამდე გაუშიშვლდა.

— ლედი, რა არის ეს? ხელები დაჟეჟილი გაქვთ? — წამოიყვირა ჰოლმსმა.

ხელის კანზე ქალს ლიაწითელი ფერის ორი ლაქა აჩნდა.

— მომხდარ ამბავთან ამას არავითარი კავშირი არა აქვს. თუ დაბრძანდებით, ყველაფერს დაწვრილებით მოგიყვებით.

— მე სერ იუსტეს ბრეკენსტოლის მეუღლე ვარ. ჩვენ ერთი წლის წინ შევუღლდით. ამ შეუღლებას ჩემთვის ბედნიერება არ მოუტანია. ამას ჩემი მეზობლებიც დაადასტურებენ. სამხრეთ ავსტრალიის თავისუფალ სამყაროში აღვიზარდე. ინგლისის მცხოვრების მკაცრ ზნეჩვეულებებს ვერ შევეჩვიე. ამას როგორმე ავიტანდი, ჩემს ქმარს უზომო სმა რომ არ დაეწყო. ამ კაცთან ყოფნა შეუძლებელი შეიქნა. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, როგორ გაძლებდა ალღოიანი და მოსიყვარულე სულის პატრონი ქალი ამისთანა ადამიანთან? ეს ხომ დანაშაულია. ამბობენ, თითქოს ქორწინება ურღვევი კავშირიაო. მე კი ეს მკრეხელობად და საზიზღრობად მიმაჩნია. თქვენი საზარელი კანონები თქვენივე ქვეყანას შეაჩვენებენ. ზეციური ძალაც კი არ შეგინდობთ ამ უმსგავსობას.

ქალი წუთით დადუმდა. ლოყები ალეწოდა. სისხლის ნაწვეთარები უფრო საეჭვოდ მეჩვენა. მოახლე ქალმა თავი ბალიშზე დაადებინა.

მცირეოდენი სულისმოთქმის შემდეგ, ქალმა განაგრძო:

— ახლა გუშინდელ ღამეზე. ჩვენი მოსამსახურეები სახლზე ახალმოშენებულ ოთახებში ცხოვრობენ. ცენტრალურ ნაწილში საცხოვრებელი ოთახები და სამზარეულოა მოთავსებული. ზედა სართულზე ჩვენი საძინებელი ოთახებია. ჩვენი ოთახის ზედა სართულზე მოახლე ქალის ოთახია. სახლში სხვა არავინ არ ცხოვრობს. საერთოდ, ახალამოშენებულ მხარისკენ სიმყუდროვეა და არავითარი ხმა არ აღწევს იქამდე.

სერ იუსტესი დასაძინებლად თერთმეტის ნახევაზე წავიდა. მოსამსახურეებიც დასაძინებლად ემზადებოდნენ. მე კი წიგნს ვკითხულობდი. ტერეზა მე მელოდებოდა. დაწოლის წინ მოვალე ვიყავი ოთახები დამეთვალიერებინა.

და აი, სამზარეულოდან ბუფეტში გავედი, იქიდან კი იარაღების ოთახი და საბილიარდო მოვინახულე. მისაღებშიც შევიხედე და სამზარეულოში დავბრუნდი. ფრანგული ფანჯრის ტიპის კარები სახლის წინ მდელოზე გადიოდა. სამზარეულოს კარებზე სურათები ეკიდა. კარებთან გავლისას გამჭოლმა ქარმა გამკრა.

პორტიერა გადავწიე და მე ფართომხრებიანი მამაკაცის წინ აღმოვჩნდი. ხელში ანთებული სანთელი მეჭირა. ოთახში კიდევ ორი მამაკაცი შემოვიდა. ინსტინქტურად უკან დავიხიე და ყვირილი დავაპირე. ის პირველი მამაკაცი მაშინვე მომვარდა და ყელში წამიჭირა ხელი. თავში მუშტი ჩამცხო და ძირს დამანარცხა. გონება დავკარგე. როდესაც გონზე ოდნავ მოვედი, სავარძელზე მიკრული აღმოვჩნდი. არათუ განძრევა, ყვირილიც კი ვერ შევძელი. თუმც როგორ უნდა მეყვირა, პირში ჩვარი მქონდა ჩაჩრილი.

ამ დროს ოთახში ჩემი უბედური ქმარი შემოვიდა. მას, ეტყობა, ხმაური გაეგონა და შარვალ-პერანგის ამარა, თავისი საყვარელი ხელკეტით ჩემსკენ გამოქცეულიყო. იუსტესი პირველ მამაკაცს ეკვეთა. ამ უკანასკნელმა კი ბუხრიდან საჩხრეკი აიტაცა და გამეტებით ჩაცხო თავში. იუსტესი უსიტყვოდ ჩაიკეცა. მივხვდი, რომ ქმარი მომიკლეს. რამდენიმე წუთის შემდეგ სრული ცნობიერებაც დამიბრუნდა. მათ ბუფეტიდან მთელი ვერცხლეულობა ამოელაგებინათ.

მაგიდაზე ბოთლით ღვინო იდგა. სამივეს ხელში ავსებული ჭიქები ეჭირათ. როგორც გითხარით, ერთი მათგანი ხნიერი, წვეროსანი მამაკაცი იყო. დანარჩენი ორი კი ახალგაზრდები. შესაძლოა მამა-შვილებიც ყოფილიყვნენ. ისინი ჩუმად საუბრობდნენ. შემდეგ ჩემთან მოვიდნენ და შემამოწმეს, მაგრად თუ ვიყავი სავარძელზე მიბმული. კარები გამოიხურეს და წავიდნენ. დიდი წვალების შემდეგ პირიდან ჩვარი ამოვიგლიჯე და დავიყვირე. პირველმა ტერეზამ მოირბინა. ერთი მოსამსახურე პოლიციაში გავაგზავნე. პოლიცია თავის მხრივ ლონდონს დაუკავშირდა.

სულ ესაა, რისი თქმაც შემეძლო. იმედი მაქვს, ამ საშინელ ამბავს ხელახლა აღარ გამამეორებინებთ.

— მისტერ ჰოლმს, რაიმე შეკითხვა ხომ არა გაქვთ? — ჰკითხა ჰოპკინსმა ჩემს მეგობარს.

— ლედი ბრეკენსტოლის მოთმინებას ბოროტად არ გამოვიყე-

ნებთ. — თქვა ჰოლმსმა. — მაგრამ სანამ სამზარეულოს დავათვალიერებდე, მინდოდა მოახლისთვის მომესმინა.

— მამაკაცები სახლში შემოსვლამდე დავინახე. — დაიწყო მოახლემ. — ჩემი ოთახის ფანჯარასთან ვიჯექი, ისინი სადარაჯო ჯიხურთან შევნიშნე. მთვარიანი ღამე იყო. ასე, ერთი საათის შემდეგ, ჩემი დიასახლისის ყვირილი მომესმა. სასწრაფოდ ქვევით ჩავირბინე, ოთახში, ლედი სავარძელზე მიეკრათ, სისხლით მოსვრილი მისტერ იუსტესი იატაკზე ეგდო. ამის დამნახველი ყველა ნორმალური ადამიანი, შეძრწუნდებოდა. ჩემი დიასახლისი, ადელაიდის მკვიდრი, მამი ფრეიზერი, წინათ ყოველთვის მამაცურად იჭერდა თავს, ებბი-გრეიჯის ტრაგედიამ ძლიერ გადაღალა. ამჟამად დასვენება ესაჭიროება. თქვენის ნებართვით, მას საძინებელ ოთახში ავიყვან.

მოახლემ დედობრივი სითბოთი მოხვია ხელი მამი ფრეიზერს და ოთახიდან გაიყვანა.

— მოახლე ქალს ტერეზა რაიტი ჰქვია, — თქვა ჰოპკინსმა. — ბავშვობის დროიდან ემსახურება ლედის. წლინახევრის წინ მათ ავსტრალია დატოვეს და საცხოვრებლად ლონდონს ჩამოვიდნენ. ამისთანა ერთგულ მოახლეს იშვიათად შეხვდება კაცი.

აი ყველაფერი, რისი თქმაც მინდოდა.

უნებურად ჰოლმსს შევხედე. ჩემს მეგობარს სახეზე გულგრილი გამომეტყველება აღბეჭდვოდა. საქმე ისეთი უფერული ჩანდა, რომ ჰოლმსს დროის დაკარგვა არ ემეტებოდა. ჰოლმსი ჰგავდა სახელგანთქმულ მედიკოსს, რომელიც შეცდომით ბავშვთან წითელას სამკურნალოდ მიიწვიეს.

სასადილოში შევედით. ბოროტმოქმედების მთელი სურათი თვალწინ გადაგვეშალა. ჰოლმსი გამოცოცხლდა, საქმისადმი ინტერესი კვლავ გაუღვივდა.

სასადილო ოთახის ჭერი მუხის პანელებით იყო გაწყობილი. კედლებზე ირმის რქებისა და ძველი იარაღების საუცხოო კოლექცია გამოეფინათ. შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს შემინული კარები ჩანდა. სამ ფანჯარაში, მარჯვნივ, ზამთრის მზის სხივები იფრქვეოდა, მარცხნივ, მუხის თაროების ქვეშ, დიდ ღუმელს დაეღო პირი. ღუმელთან იდგა სავარძელი, საიდაყვეებით საზურგეზე მიხრახნილი, ჩახრახნილ ღრეჩოებში წითელი ზონარი გაეტარებინათ. ბოლოები ქვედა ძელზე მრეგბათ. ლედის განთავისუფლების შემდეგ ზონარის კვანძები კვლავ უწინდელ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეს ჩვენ ცოტა მოგვიანებით შევნიშნეთ. ამჯერად კი ჩვენი ყურადღება ბუხრის წინ ვეფხის ტყავზე გაშხლართულმა გვამმა მიიპყრო.

ეს სერ იუსტესის გვამი იყო. მოკლული დაახლოებით ორმოცი წლისა უნდა ყოფილიყო. შავი წვერი და სასაცილოდ დაკრეჭილი თეთრი კბილები მოუჩანდა. დამუშტულ ხელებზე ხელკეტი ეგდო. მისი წითელი არწივისებური სახე მძულვარებას გამოხატავდა. კოხტად შეკერილი პერანგი ეცვა, შარვლიდან შიშველი ფეხები მოუჩანდა. ეტყობა, დასაძინებლად ემზადებოდა. თავი დაჭეჭყილი ჰქონდა. იქვე ეგდო ბუხრის საჩხრეკი, რომელსაც ბოლო გადაღუნვოდა. ჰოლმსმა მოკლულს თავზე ჭრილობა შენიშნა:

— ეს უფროსი რენდალის ნაკაიკაცარი უნდა იყოს.

— დიახ, — დაეთანხმა ჰოპკინსი. — იგი ძლიერი პიროვნებაა. მასზე რაღაც ცნობები მაქვს. საშიში დამნაშავეა.

— მისი შეპყრობა ალბათ ადვილიც არ იქნება.

— რა თქმა უნდა. დიდი ხანია ვუთვალთვალებთ. ერთი პირობა ხმები დაჰყარეს, თითქოს ამერიკაში არიანო. ისინი კი აგერ ორ ნაბიჯზე აღმოჩნდნენ. ამჯერად ვერსად ვერ წაგვივლენ. მათი პირადი ნიშნები ყველა საზღვაო პორტს გადავეცით. დამნაშავეთა დაჭერისათვის ფულადი ჯილდო დავაწესეთ. ერთი რამ ვერ გამიგია. ისინი ხომ ლედიმ თვალნათლივ დაინახა? ნუთუ ეს მათ არ აწუხებთ.

— თქვენი აზრით, ლედი უნდა მოეკლათ?

— შეიძლება იფიქრეს, რომ გონზე მალე არ მოვაო, — გამოვთქვი ჩემი მოსაზრება.

— შეიძლება ესეც იყოს, და ლედი ამიტომაც შეიცოდეს. მისტერ ჰოპკინს, ამ საქმის შესახებ სხვას ხომ არაფერს დაუმატებდით?

— მისტერ ჰოლმს, სერ იუსტესზე აქ უცნაური ხმები დადის. სიფხიზლეში იგი უწყინარი ადამიანი ყოფილა, სიმთვრალეში კი ხორცშესხმული ურჩხული. ამ დროს, თურმე, არაფერს ერიდებოდა. თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობის მიუხედავად ორჯერ მოხვედრილა პოლიციის განყოფილებაში. ერთხელ მეუღლის მოახლის ქალისთვის ნავთი გადაუსხია და დაუწვავს. სკანდალი, როგორც იყო, მიუფუჩეჩებიათ. მეორედ, ლედის მოახლისთვის გრაფინი უსროლია. ამაზეც მთელი დავა-დარაბა ამტყდარა. ჰოლმს, რას შვრებით?

მუხლებზე წამოჩოქილი ჰოლმსი დიდი ყურადღებით ათვალიერებდა თოკის კვანძს, რომლითაც ლედი იყო სავარძელზე მიბმული. ჰოლმსმა თოკის ბოლოც შეათვალიერა.

— თოკის ჩამოგლეჯისას, ზარს უნდა დაერეკა. საოცარია, ასე დაუფიქრებლად როგორ ჩამოგლეჯეს თოკი? — შენიშნა ჰოლმსმა.

— ბოროტმოქმედებს საიდან ეცოდინებოდათ, რომ ზარი დარეკავდა?

— მართალი ხართ. სხვათაშორის მისტერ ჰოლმს, ანალოგიური კითხვა მეც არ მაძლევს მოსვენებას. მძარცველებმა, ეტყობა, კარგად იცოდნენ როგორც ოთახების განლაგება, ასევე ამ სახლის ბინადართა ჩვევებიც. მათ იცოდნენ, რომ მოსამსახურეებს ამ დროს უკვე ეძინათ და ზარის ხმას ვერ გაიგებდნენ. ჩემი აზრით, რომელიმე მსახურთაგანი მათი მოკავშირე უნდა იყოს. სახლში რვა მოსამსახურეა. თვითეული მათგანი უმწიკვლო რეპუტაციით სარგებლობს.

— ჩვენ ლედის მოახლეზე შეგვეძლო გვეეჭვიანა. მაგრამ ვშიშობ, რომ ეს ლედის გაანაწყენებს. ტერეზა რაიტი ლედის ერთგული მსახურია. თუ რენდალს შევიპყრობთ, მაშინ დანარჩენთა ვინაობასაც ადვილად დავადგენთ.

ჰოლმსმა შემინული კარი გამოაღო.

— დედამიწა ისეთი მყარია, რომ არავითარი კვალი არ ამჩნევია. სხვათაშორის, ბუხარზე შანდლები მთელ საღამოს ნთებულა.

— ეტყობა, შანდლებმა მძარცველებს დიდი სამსახური გაუწიეს.

— წაიღეს რამე?

— ბევრი არაფერი. ბუფეტიდან ნახევარი დუჟინი ვერცხლის ჯამჭურჭელი. ლედის ფიქრით, მძარცველებს სერ იუსტესის მკვლელობამ შეუშალა ხელი. წინაალმდეგ შემთხვევაში, ისინი პირწმინდად გაძარცვავდნენ სახლს.

— გეთანხმებით. ერთი რამ ვერ გამიგია. ნუთუ მათ იმდენი დრო დარჩათ, რომ ღვინო დაელიათ?

— შეიძლება ნერვების დაწყნარება უნდოდათ.

— ჭიქებს ხომ არავინ შეხებია.

— არავინ. რაც შეეხება ბოთლს, ის კვლავ ბუფეტში დევს.

— მაგას ვნახავ. ეს რა არის?

სამივე ჭიქაში ღვინის ნაწური იყო. ერთი ჭიქის ფსკერზე შავი დანალექი. იქვე სანახევროდ დაცლილი ბოთლი იდგა და გრძელი კორპის საცობი იდო. ეტყობა, მძარცველებს საუკეთესო ღვინით ჩაეტკბარუნებინათ პირი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოლმსს თვალები წამოენთო. გამოხედვა ცოცხალი და ყურადღებიანი გაუხდა. საცობი გულმოდგინედ დაათვალიერა.

— საინტერესოა, როგორ ამოაძვრეს საცობი ბოთლიდან?

ჰოპკინსმა ბუფეტში ნახევრადსავსე ყუთს მიაპყრო მზერა. ყუთში რამდენიმე საცობის საძრობელაც იდო.

— ლედიმ იცოდა საძრობელას არსებობა?

— არა. როდესაც ბოთლი გახსნეს, იგი უგონო მდგომარეობაში იყო.

ეს სინამდვილეს შეეფერება. სხვათაშორის ბოთლი დასაკეცი დანითაა გახსნილი. თუ საცობს დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ სანამ საცობს ამოაძრობდნენ, იგი მსუბუქად ჩახრახნეს. თუმც მისი ამოძრობა პირველივე ცდით შეეძლოთ. როდესაც იმ სუბიექტს დაიჭერთ, აუცილებლად უნახეთ დასაკეცი დანა.

— შესანიშნავია, — წამოიძახა ჰოპკინსმა.

— ჭიქებს ჩიხში შევყავართ, თუმცა ეს ყურადღების ღირსია. ჰოპკინს, ნუთუ ვერაფერს ამჩნევთ? მაშ, კარგი. აღარ გედავებით. ეს ჭიქები ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. კარგად იყავით ჰოპკინს! საქმე ისეთი ნათელია, რომ ჩემი დახმარება ალბათ აღარ დაგჭირდებათ. რენდალს თუ შეიპყრობთ, აუცილებლად შემატყობინეთ. სულ მალე ალბათ საქმის წარმატებით დამთავრებას მოგილოცავთ. წავიდეთ, უოტსონ. დარჩენილ დროს სახლში უკეთ გამოვიყენებთ.

ჰოლმსი ცდილობდა ისე ელაპარაკა, თითქოს მისთვის ყველაფერი ნათელი იყო. მაგრამ სახეზე ემჩნეოდა, რომ რაღაც მოსვენებას არ აძლევდა. ეჭვები სულ უფრო უძლიერდებოდა. მისი ფიქრები ებბიგრეინჯის იმ ოთახისკენ იყო მიმართული, სადაც ტრაგედია მოხდა.

ჰოლმსი საგარეუბნო მატარებელში ჩაჯდა. მაგრამ უცებ ჩემდა გასაკვირად, პლატფორმაზე გადმოხტა.

— მაპატიეთ, უოტსონ, — მითხრა ჰოლსმა. — საქმეს ამ მდგომარეობაში ვერ მივატოვებ. ინტუიცია და გამოცდილებაც ამას მკარნახობს. ლედის მონათხრობი ზუსტი და ნათელია. მოახლის ჩვენებაც თითქოს სიმართლეს წარმოადგენს. ყოველი წვრილმანი ერთმანეთს ემთხვევა. მაგრამ რა დავუპირისპიროთ ამას? მხოლოდ სამი ჭიქა? თუ საქმეს წინასწარ აკვიატებული მოსაზრებით მივუდგებით, მაშინ ჭიქების გარდა სხვა ვერსიასაც გამოვნახავდით. უოტსონ, ჩიხილხერსტისკენ მიმავალ მატარებელს უნდა დაველოდოთ.

— ახლა კი მისმინეთ. ლედისა და მოახლის ჩვენება სრულ ჭეშმარიტებად არ უნდა მივიჩნიოთ. — თქვა და იჭვნეულად მომაჩერდა. — ლედი ბრეკენსტოლლის მომხიბვლელობამ ჩვენ დასკვნებს ხელი არ უნდა შეუშალოს. ეს ძალზე საჭირო არგუმენტია.

ლედი ბრეკენსტოლლის ნათქვამში ბევრი საეჭვო დეტალი იყრიდა თავს. ორი კვირის წინ იმავე პირებმა საიდენჰემში ანალოგიური თავდასხმა განახორციელეს. გაზეთში მათი გარეგნობა იყო აღწერილი. ისინი კი აუცილებლად ისარგებლებდნენ ამ ცნობით და სხვაგან, სხვა საქმეზე წავიდოდნენ. ასეთ უდროო დროს ვერ გაბედავდნენ რაიმე ოპერაციის ჩატარებას. ნუთუ ლედის არ შეეძლო, რომ დაეყვირა? სერ იუსტესს ისინი სისხლის დაღვრის გარეშეც გაუსწორდებოდნენ. მათ ხომ ხელი არაფრისთვის არ უხლიათ. მხოლოდ წვრილმანების წაღებით დაკმაყოფილდნენ. დაუცლელი ბოთლიც დამაფიქრებელია. უოტსონ, მათი სულელური ჩვევები ნუთუ თქვენში ეჭვს არ იწვევს?

— ყოველივე ეს, ერთად აღებული, ნამდვილად შთამბეჭდავია. თითოეულს თუ ცალ-ცალკე ავიღებთ, მივხვდებით, აქ შეუძლებელი არაფერია. ჩემი აზრით, ყველაზე უცნაური ლედის სავარძელზე მიბმაა.

— უოტსონ, მე აქ არაფერს ვხედავ საეჭვოს. მძარცველებს შეეძლოთ ლედი მოეკლათ, ან ისე დაემუშავებინათ, ყვირილის თავიც აღარ ჰქონოდა. ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ ლედის ნაამბობის დაჯერება არ შეიძლება. ყველაზე უარესი ფაქტი ჭიქებია.

— ჭიქებმა რამე ახალი სამხილი ხომ არ მოგცათ?

— შეგიძლიათ აღადგინოთ მეხსიერებაში?

— რა თქმა უნდა!

— ლედი ამტკიცებს, თითქოს სამივე მამაკაცმა დალია ღვინო. ეს თქვენში ეჭვს არ იწვევს?..

— რა თქმა უნდა, არა. ღვინო ხომ ყველა ჭიქაში იყო ჩარჩენილი.

— არა, უოტსონ, მხოლოდ ერთ ჭიქაში, დანარჩენ ორში ნალექი არ ყოფილა. ამას როგორღა ახსნით?

— იქნებ ამ ჭიქაში ბოლოს ჩამოასხეს?

— არავითარ შემთხვევაში. ღვინით სავსე ბოთლს ნალექი მხოლოდ ფსკერზე აქვს. ამასთან, ბოთლი დაცლილი არაა. ამიტომაც მესამე ჭიქაში, იმ ორი ჭიქის მსგავსად, ნალექი არ უნდა ყოფილიყო. ამ ფაქტს ახსნა ორი გარემოებით შეიძლება: მესამე ჭიქამდე, იქნებ, ბოთლი მაგრად შეანჯღრიეს. ამიტომ მთელი ნალექი მესამე ჭიქაში ჩაიცალა.

— ჭიქაში დანალექს როგორღა ახსნით?

— ალბათ ორი ჭიქიდან სვამდნენ. მესამეში ნალექს ასხამდნენ. ამიტომაც ერთ ჭიქაში ნალექი აღმოჩნდა, დანარჩენ ორში კი არა. აქედან დასკვნა: იმ ღამეს სასადილო ოთახში სამი კი არა, ორი ადამიანი იყო. ეს საქმე დიდად საინტერესო როდია. ისე კი, ლედი და მისი მოახლე უსირცხვილოდ ცრუობენ. მათი სიტყვა დასაჯერებელი არაა. მათ ალბათ უფრო სარწმუნო მიზეზი ჰქონდათ, რის გამოც ნამდვილ დამნაშავეს დააფარეს ხელი. მოქმედების ვითარება უნდა აღვადგინოთ. ქალების დახმარების იმედი არ უნდა ვიქონიოთ. აი ჩიზილხერსტიც. მატარებელიც მოვიდა. დროა წავიდეთ.

ჩვენმა დაბრუნებამ ებბი-გრეიჯის მკვიდრთა გაოცება გამოიწვია. სტენლი ჰოპკინსი იქ არ აღმოჩნდა. მას უფროსისთვის საქმე წაეღო. ჰოლმსი სამზარეულოში ჩაიკეტა და მთელი ორი საათი დანაშაულს ჩაკირკიტებდა. მე კუთხეში ვიჯექი და მის საქმიანობას ასე ვადევნებდი თვალს.

ფანჯარა, პორტიერა, ხალიჩა, სავარძელი, თოკი, — აი ნუსხა იმ საგნებისა, რომლებსაც ჰოლმსი აკვირდებოდა. თითოეულ საგანზე სათანადო დასკვნა გააკეთა. გვამი ოთახიდან გაეტანათ. სხვა ყველაფერი უწინდებურად თავის ადგილზე იყო. ჩემდა გასაკვირად, ჰოლმსი ბუხრის თავზე აცოცდა. ზემოთ გაწყვეტილი ზარის თოკი ქანაობდა. ჰოლმსი დიდხანს სინჯავდა თოკს. შემდეგ კედლის კარნიზზე მუხლები შეაბჯინა. ზონარს მაინც ვერ მისწვდა. ორი დიუმი ჰყოფდა ამ მანძილს. ჰოლმსმა კარნიზი გულმოდგინედ დაათვალიერა და კმაყოფილი ძირს ჩამოხტა.

— უოტსონ, ყველაფერი ნათელია. ეს საქმე თქვენს კოლექციაში უდაოდ განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს. ლამის არ შევცდი? ამჯერად რამდენიმე გამოუცნობ რგოლს აღვიდგენ და გახსნილი ჯაჭვიც ხელთ მექნება.

— მათი ვინაობა დაადგინეთ?

— მათიო? არა, მისი! აქ სამი კი არა, ერთი ადამიანი მოქმედებდა. გაიხსენეთ მისი დარტყმა და გაღუნული ბუხრის საჩხრეკი. იგი ექვსი ფუტის სიმაღლისაა და მოქნილ

თითების პატრონიც გახლავთ. ჭკვიანი და მოხერხებულია. რაც შეეხება ზარის თოკს, ეს მთელი საქმის გასაღებია.

— ვერაფერი ვერ გავიგე.

— უოტსონ, თქვენ რომ მთელი ძალით მოგეწიათ ზონარი, სად გაწყდებოდა? რა თქმა უნდა იქ, სადაც თოკი მავთულთანაა შეერთებული. ამ შემთხვევაში ზონარი ქვემოთ გაწყდა.

— ეს იმიტომ, რომ მავთული ამ ადგილზე გაცვეთილი იყო.

— სწორეა. ამ ადამიანს ეყო ჭკუა, რომ იგი დანით გადაეჭრა. მისი ზედა ნაწილი მთლიანია. საკმარისია, ბუხრის თავზე შევდგეთ, რომ ამაში იოლად დავრწმუნდებით, თოკი ძალზე ფაქიზადაა გადაჭრილი.

ახლა კი, შეგვიძლია, ყველაფერი თანმიმდევრობით აღვიდგინოთ გონებაში. განგაში რომ არ აეტეხა, ბოროტმოქმედმა ზონარი კი არ ჩამოგლიჯა, არამედ ბუხრის თაროზე ავიდა. შემდეგ კედლის კარნიზზე შეცოცდა და ზონარი ისე გადაჭრა. პირადად მე ზონარს მთელი სამი დიუმა მაშორებდა. აქედან დავასკვენი, რომ ბოროტმოქმედი სამი დიუმით მაღალი იყო ჩემზე. ახლა კი სავარძლის საჯდომს დააკვირდი. უოტსონ, რა არის ეს?

— სისხლი.

— ნამდვილად სისხლია. ესე იგი, ლედი ბრეკენსტოლლის მონათხრობი თავიდან ბოლომდის მონაჭორია. იმ დროს თუ ლედი სავარძელში იჯდა, მაშინ როგორ გაჩნდა სავარძელზე ეს ლაქა? არა და არა, ქალი მხოლოდ ქმრის მოკვლის შემდეგ ჩასვეს სავარძელში. სანაძლეოს ჩამოვდივარ, რომ ლედის შავ კაბაზეც ექნება ლაქა. უოტსონ, საქმე მარცხით დავიწყეთ, მაგრამ გამარჯვებას მალე ვიზეიმებთ. ახლა კი ლედის მოახლეს უნდა ვესაუბრო. მასთან სასაუბროდ სათანადო ქცევაა საჭირო.

ტერეზა რაიტი, მკაცრი გამომეტყველების ავსტრიელი ძიძა, მდუმარე და არათავაზიანი ქალი გამოდგა. ჰოლმსის თავაზიანობითა და გულკეთილობით დათრგუნვილი ქალი მალე ალაპარაკდა. ტერეზა არ ფარავდა სიძულვილს განსვენებულის მიმართ.

— სერ, მან რომ გრაფინი მესროლა, ეს სრული სიმართლეა. შემდეგ ჩემი თანდასწრებით ლედის ბინძური სიტყვებით აგინა. ვერ მოვითმინე და ვუთხარი, ჩემი ძმა რომ აქ ყოფილიყო, ამას არ გაპატიებდა-მეთქი. სწორედ მაშინ მესროლა გრაფინი. ყოველივე ამას ავიტანდი, ოღონდ ლედისთვის არ ეწყენინებინა. ღმერთო ჩემო, მერე როგორ აწვალებდა.

თარგმნა
ომარ ესიტაშვილმა.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელიზაბეტ ტეილორი ბედნიერი ლაბალური

ლიზ ტეილორი 11 წლისა იყო, როცა მისი მომხიბლავი სახე პირველად გამოჩნდა ეკრანზე. ბავშვმა ისე კარგად შეასრულა მთავარი როლი ფილმში „სამშობლოს სევდა“. რომ სურათის შემქმნელმა კომპანიამ მასთან შვიდწლიანი კონტრაქტი დადო. ასე ბედნიერად დაიწყო ჰოლივუდის მომავალი სუპერვარსკვლავის ელიზაბეტ ტეილორის კარიერა და ცხოვრების გზა.

ლიზ ტეილორი დაიბადა 1932 წლის 27 თებერვალს ლონდონში. ხელოვნების საგნებით მოვაჭრე ამერიკელი ფრენსის ტეილორის ოჯახში. დედამისი, ეროვნებით ებრაელი, ცდილობდა გარეგნობით მიმზიდველ გოგონასაგან მომავალი კინოვარსკვლავის შექმნას. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში ტეილორების ოჯახი შეერთებულ შტატებში ბრუნდება. 1942 წელს კი ლიზი მიიწვიეს ფილმში „სამშობლოს სევდა“.

შემდეგ ფილმში გადაღებისას გოგონას, სცენარის მიხედვით, ცხენზე უნდა ეჯირითა, მაგრამ ტანით ძალიან პატარა იყო და დედა ყოველდღიურად ავარჯიშებდა სხეულის გასაჭიმავ სპეციალურ აპარატში. ეს საქმე, ალბათ, არ უნდა ყოფილიყო იოლი, მითუმეტეს, სასიამოვნო პროცედურა. მაგრამ მიუხედავად ვარჯიშისა და წვრთნისა, პირველი ბედისეული დარტყმა ელიზაბეტ ტეილორმა სწორედ ფილმის გადაღებისას ცხენზე ამხედრებულმა მიიღო: ცხენიდან გადმოვარდა და სერიოზულად დაუზიანდა ხერხემალი.

ზურგის არეში მწვავე ტკივილების გამო იგი იძულებული გამხდარა ფილმზე მუშაობა შეეწყვიტა. ხერხემლის რამდენიმე ოპერაციაც აქვს გაკეთებული. ახალგაზრდობაში, ნაოპერაციევზე, ფიზიკურ ტკივილებსა და სულიერ აპათიას ალკოჰოლისა და დამაწყნარებელი აბების საშუალებით ებრძოდა.

სრულწლოვანი ლიზის გათხოვების დრო დადგა. ლიზს ამერიკული ფეხბურთის ვარსკვლავი შეუყვარდა, მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, იგი ლიზის დედას არ მოეწონა. ასე რომ, ფეხბურთის ვარსკვლავი უარყოფილ იქნა. რამდენიმე კანდიდატის „გაცხრილვის“ შემდეგ რეკლამის სამსახურმა და ლიზის დედამ ახალგაზრდა ქალის ქმრად ვინმე ნიკ ჰილტონი აირჩიეს — სასტუმროების ცნობილი მფლობელის შვილი.

ელიზაბეტ ტეილორის პირველი ქორწინება მხოლოდ რვა თვეს გაგრძელდა. მეორედ ელიზაბეტი ოცი წლისა გათხოვდა. ეს მეორე ქმარი, ინგლისელი მსახიობი მაიკლ უილდინგი, ცოლზე ორჯერ ხნოვანი გახლდათ. ორი ვაჟიშვილი შეეძინათ. სამწუხაროდ, ეს ქორწინებაც უიღბლო გამოდგა.

სამაგიეროდ ელიზაბეტ ტეილორის პროფესიული კარიერა მიდიოდა აღმავლობის გზით. 1956 წელს გამოვიდა ფილმი „გიგანტი“, რომელმაც კრიტიკოსთა და კინომოყვარულთა გაოცება გამოიწვია. 1960 წელს პირველი „ოსკარი“ მიიღო ფილმში „ბატერფილდი 8“ მონაწილეობისათვის. ამ დიდ აღიარებამდე სამი წლით ადრე კი, მეორე განქორწინებისთანავე, გაიცნო ცნობილი პროდუსერი არონ გოლდბოგენი, რომელიც უფრო მაიკ ტოდის სახელითაა ცნობილი. ღარიბი ოჯახის შვილმა მაიკ ტოდმა ცხოვრებაში უდიდეს წარმატებას მიაღწია. ამბობენ, მისმა ექსტრავაგანტურმა გართობებმა ელიზაბეტ ტეილორის მომხიბლაობაც კი დაჩრდილაო. მაიკ ტოდის ფილმების პრემიერებისადმი მიძღვნილ დღესასწაულებში მონაწილეობას ღებულობდნენ სპილოები, შამპანური კი, რომელიც ცისტერნებით მოჰქონდათ, მდინარეებად მოედინებოდა.

როცა ლიზმა მაიკს ქალიშვილი აჩუქა, ქმარმა სამშობიაროს პალატის კედლები რენუარის, პისაროს, მონეს და ფრანს ჰალისის სურათებით დაამშვენა. ელიზაბეტ ტეილორი ბედნიერია. მას ჰყავს ქმარი, რომელსაც ის გაგიჟებით უყვარს და, რომლისთვისაც არაფერია შეუძლებელი ამქვეყნად... მაგრამ, ბედის ბორბალი უკუღმა დატრიალდა: მაიკ ტოდი ევროპიდან ნიუ-იორკში საკუთარი თვითმფრინავით გადაფრენისას, რომელსაც ერქვა „ლიზ“, საჰაერო კატასტროფაში იღუპება.

ელიზაბეტ ტეილორმა, როცა ქმრის დაღუპვის ამბავი შეიტყო, თურმე დაჭრილი ნადირივით მორთო ბღავილი. ქალი ისე ხმამაღლა მოთქვამდა, რომ მასთან მეზობლები, რეინოლდსი და მისი ქმარი, ესტრადის მომღერალი ედი ფიშერი მივარდნილან. და აი, სწორედ ამ ედი ფიშერმა აზიარა ტეილორი იუდეველთა სარწმუნოებას. ხოლო ცოტა ხანში, 1959 წელს, ლიზი ცოლად შეირთო და თვითონ გახდა „მისტერ ტეილორი“.

ჰოლივუდის კანონების მიხედვით ელიზაბეტს თავისი მორიგი ქმრისგანაც ბავშვი უნდა ჰყოლოდა. და თუმცა ის ჯერ კიდევ ოცდაათისაც არ იყო, ჯანმრთელობა უკვე შერყეული ჰქონდა, ამიტომ, თავისი მეგობრის მარია შელის დახმარებით ლიზმა გაზეთში საქვეყნოდ გამოთქვა სურვილი ბავშვის აყვანის შესახებ. ამ განცხადებას გამოეხმაურა ღარიბი ცოლ-ქმარი, რომელთაც გადაწყვიტეს თავისი არცთუ ჯანმრთელი ქალიშვილი, რომლის მკურნალობის ფული მშობლებს არ ჰქონდათ, ცნობილი კინომსახიობისთვის ეჩუქებინათ. ლიზმა გოგონა იშვილა და სახელად მარია დაარქვა. ბავშვს უნდა შეედუღაბებინა ტეილორის უშვილო თანაარსებობა ფიშერთან.

1963 წელს დასრულდა ფილმ „კლეოპატრა-

ზე“ მუშაობა. გადაღება თითქმის 10 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ფილმმა ექსტრავაგანტურობის ყველა რეკორდი მოხსნა. 70-იანი წლების ბოლოს „კლეოპატრა“ თბილისის ეკრანებზეც გადიოდა. ფილმი მძიმეა, ძნელია აღსაქმელად, ზედმეტად ლამაზია, ‚ადატვირთულია ძვირფასეულობებით, საერთო ჯამში, უგემოვნოა. კინოს სპეციალისტებმა კრიტიკულად შეაფასეს ე. ტეილორის საშემსრულებლო ოსტატობა „კლეოპატრაში“, მაგრამ მას, ეტყობა, ეს ნაკლებად აინტერესებდა და სხვა პრობლემები აწუხებდა, უფრო სწორად, ერთი პრობლემა: ურთიერთობა ანტონიუსის როლის შემსრულებელთან, მსახიობ რიჩარდ ბარტონთან.

რიჩარდ ბარტონი ლოველასისა და ქალთა გულების მპყრობელის სახელით იყო ცნობილი და ე. ტეილორი მასთან ურთიერთობაში ცდილობდა, რომ ბარტონის ამურულ-ეროტიკულ გამარჯვებათა სიას საკუთარი პერსონაც არ მიემატებინა. მას საჯაროდ დაუფიცნია კიდეც: არაფერი ექნებოდა საერთო რ. ბარტონთან, გარდა პროფესიონალური შეხვედრებისა გადასაღებ მოედანზე.

მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, თვითმკვლელობის ორი დემონსტრაციული ცდის შემდეგ, 1964 წელს ელიზაბეტ ტეილორი რიჩარდ ბარტონს ცოლად გაჰყვა. ბარტონი წესიერი კაცი გამოდგა. იშვილა თვით ელიზაბეტის მიერ აყვანილი გოგონა მარია და მისცა თავისი გვარი. გოგონა კოჭლი იყო... წარმატებით ჩატარებული ოპერაციის შედეგად ეს გოგონა იქცა სპეციალისტების მიერ აღიარებულ ფოტომოდელად.

რიჩარდ ბარტონთან ერთად გატარებულმა წლებმა ლიზ ტეილორს მეტი პოპულარობა მოუტანა, ვიდრე ყველა მისმა ფილმმა. ეს ექსცენტრიული წყვილი ბულვარული პრესის ყურადღების ცენტრში იყო მთელი თორმეტი წლის განმავლობაში, სანამ ისინი ცოლ-ქმარნი იყვნენ. საჯაროდ ერთმანეთს ეფერებოდნენ, ჩხუბობდნენ, ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევდნენ, ლოთობდნენ. ბარტონს შეეძლო ეცემა ცოლი, მეორე დღეს კი უზარმაზარი ბრილიანტის ბეჭედი ეჩუქებინა მისთვის.

1966 წელს ელიზაბეტ ტეილორმა მეორე „ოსკარი“ მიიღო. მან ბრწყინვალედ შეასრულა მთავარი როლი ფილმში „ვის ეშინია ვირჯინია ვულფის?“ ამ დღიდან ათი წლის შემდეგ, 1976 წელს რ. ბარტონმა მიატოვა იგი.

ლიზ ტეილორს დიდხანს არ უდარდია. იმავე წელს ჯონ უორნერს, ცნობილ ვაშინგტონელ პოლიტიკურ მოღვაწეს, უმდიდრეს რესპუბლიკელს გაჰყვა ცოლად. ამჯერად ე. ტეილორი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელის თავშეკავებული მეუღლის როლს ასრულებდა. მისი ქმარი იყო ადამიანი, რომელიც თავის სამსახურებრივ მოვალეობებს მეტ ყურადღებას აქცევდა, ვიდრე ცოლს. ყველაფერი ეს ექვს წელიწადს გაგრძელდა. ამ დროისათვის ე. ტეილორი ჰკარგავს ადრინდელ მომხიბვლელობას. ძალიან ბევრს ჭამს, ეტანება ალკოჰოლს და ტრანკვილიზატორებს. ხან სიმსუქნისგან მკურნალობს, ხან რამდენიმე კვირით წვება კლინიკაში ალკოჰოლური სენისგან გასათავისუფლებლად.

1984 წლის აგვისტოში გარდაიცვალა რიჩარდ ბარტონი. ჰოლივუდში შემოაღწია იმდროისთვის ახალმა ავადმყოფობამ შიდსმა. ე. ტეილორი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ამ საშინელი ავადმყოფობის წინააღმდეგ მებრძოლ ამერიკულ ფონდს. ცოტა ხანში იგი ამ ფონდის თავმჯდომარე გახდა. შიდსის ვირუსმა შეიწირა როკ ჰადსონი — ელიზაბეტის პარტნიორი და მეგობარი ფილმიდან „გიგანტი“, და ელიზაბეტმა ფონდს გადასცა თითქმის ყველაფერი, რაც გააჩნდა...

ამერიკაში დადის ხმები, თვითონ ელიზაბეტ ტეილორიც შიდსითაა ავადო. მან უკვე სამჯერ გადაიტანა ფილტვების ანთება. ბოლოს მისი გადარჩენა მხოლოდ ჟანგბადის კამერაში შეძლეს. მაგრამ ე. ტეილორი მძიმე ავადმყოფია და, როგორც თვლის გერმანული გაზეთი „შტერნი“, ალბათ ვერასდროს ვეღარ გამოჯანმრთელდება, რადგან ახალგაზრდობიდან მის ორგანიზმს იმდენი რაოდენობის წამალი აქვს მიღებული, იმუნური სისტემა ვერ გაუძლებს.



თარაზულად: 7. ფულადი გასამრჯელო, რომელსაც შრომის საზღაურად აძლევენ; 8. მრავალწახნაგა სხეული, რომლის ფუძე მრავალკუთხედს წარმოადგენს, წახნაგები კი საერთო წვეროს მქონე სამკუთხედს; 9. განმტკიცება, გაერთიანება (პირთა, ორგანიზაციათა და სხვა); 11. თეატრალური პიესის მოქმედების ცალკეული ნაწილი; 12. მომწამვლელი ნივთიერება მდოგვის სუნის მქონე; იწვევს კანის დაავადებას და ორგანიზმის მოწამვლას; 15. მდინარე, რომელიც ერთვის შავ ზღვას; 18. ბალახოვანი დეკორატიული მცენარე; 19. მოკლე სპორტული შარვალი; 20. ევროპის სახელმწიფო; 21. ერთწლოვანი ბოსტნეული მცენარე; 22. პირი, რომელიც სჯის რაიმე სპორტული შეჯიბრებას; 24. რბილი, თეთრი კირქვა; 25. ესპანეთის ქალაქი; 27. წყალში მოცურავე ფრინველი, აქვს მოკლე ფეხები და ხშირი ბუმბული; 28. უპერსპექტივო უპრინციპო მოქმედება, წამოწყებული ადვილი წარმატების მიღწევის იმედით; 31. სხვადასხვა ფიზიკური ვარჯიშობა; ავითარებს ძალას, სიმარდეს, ამტანობას; 32. პარკოსანთა ოჯახის ხემცენარე.

ზვეულად: 1. თანამდებობის პირთა, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა მოსყიდვა; 2. მიწაში ამოთხრილი ადგილი; 3. სოციალისტური მრეწველობის ორგანიზაციის ერთ-ერთი ფორმა; 4. რისამე ბოლო, დასასრული; 5. ჰაერის მოძრაობა ჰორიზონტალური ხიმართულებით; 6. ცოცხალი არსება, რომელსაც აქვს აზროვნებისა და მეტყველების უნარი; 9. სახელმწიფოს ძირითადი კანონი; 10. ენერგიის დასაგროვებელი ხელსაწყო; 13. მცირე შეიარაღებული რაზმი, რომელიც თვალყურს ადევნებს წესრიგს; 14. ტურისტების თავმოსაყრელი პუნქტი; 16. ევროპის სახელმწიფო; 17. საშუალო სიმაღლის ხე; აქვს კურკიანი, წვნიანი ნაყოფი; 21. ერთგვარი სასულე მუსიკალური საკრავი; 23. მიწების ხელოვნური რწყვის ღონისძიებათა სისტემა; 25. ციხეში გამართული დროებითი სადგომი; 26. რსფსრ-ის ოლქი; 29. ელექტროდენის სიმძლავრის საზომი ერთეული; 30. გარკვეულ ხანაში დამახასიათებელი გემოვნება ჩაცმა-დახურვისა და ყოფა-ცხოვრების სხვა გარეგნული ფორმები.

შეადგინა ალექსანდრე გორგიშელმა.

შეცდომის გასწორება

ჟურნალ „დროშის" მე-11 ნომერში დაბეჭდილია ედუარდ გიგილაშვილის ფოტო „ჩობოსნები". წარწერა ფოტოზე უნდა იკითხებოდეს: მარცხნიდან — ვახტანგ კოტეტიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე აბაშელი.

პირველ ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

ზვეულად: 4. გემბანი; 5. არიზონა; 6. ალბიონი; 7. ანტანტა; 8. ქსი; 9. ხიო.

თარაზულად: 4. გენუა; 6. აკარა; 10. ხაზანი; 12. ირტიში; 13. იონჯა; 15. იახტა.

დიაგონალურად: 1. ისლანდია; 2. პრინციპი; 3. ნივა; 5. არეოპაგი; 11. ილუზიონი, 14. ანომალია; 16. აიხი; 17. ახპირინი.

■ ■ ■

გარეკანის პირველსა და მეოთხე გვერდებზე თენგიზ სამსონაძის ნახატები.

ჩანართის პირველ გვერდზე — საქართველოს სახალხო არტისტი ზურაბ ქაფიანიძე. გივი კასრაძის ნახატი.

გადაეცა წარმოებას 10.01.91. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11.03.91. ქაღალდის ზომა 60×90 1/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 4, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 5,6. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 30 000. შეკვეთა 79 ფასი 70 კაპ.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა, 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14.

Ежемесячный независимый общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Костава, 14. Типография газетно-журнального издательства «Самшобло». Адрес редакции: 380008 Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი სახელმწიფო და
კოოპერატიული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების,
სავაჭრო ობიექტების, უცხოეთის ფირმების, ერთობლივი
საწარმოების, კერძო მეწარმეთა და კომერსანტთა

ს ა ყ უ რ ა დ ღ ე ბ ო დ!

საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო
ასოციაცია „ფირონსმანის მეგობრების“
სარეკლამო-საგამომცემლო სააგენტო ჟურნალ
„დროშის“ ფურცლებზე მყარი 36 000-იანი
ტირაჟით უზრუნველყოფს მაღალმხატვრული
შავ-თეთრი და ფერადი ილუსტრაციებით
შემკული ნებისმიერი განცხადებისა და
სარეკლამო მასალის გამოქვეყნებას.

**ჩვენ ვუფრთხილდებით თქვენს ჯიბეს
და საკუთარ რეპუტაციას!**

ჩვენი ტარიფები თითქმის ორჯერ უფრო
იაფია სხვებთან შედარებით.
● კოლექტიურ და ინდივიდუალურ დაკვეთებს
ვიღებთ უშუალო მოლაპარაკების თანახმად.

ჩვენი მისამართია:
თბილისი, 380008,
რუსთაველის პრ. № 42,
მე-3 სართული, ჟურნალ „დროშის“
რედაქცია — ასოციაცია
„ფირონსმანის მეგობრების“
სარეკლამო-საინფორმაციო
სამსახური. ტელ.: 99-82-69.

670/42



ინდექსი 76056